

**book**  
PLATFORM

**ქართულ ენაზე 1991  
წლიდან მიმდინარე  
მთარგმნელობითი  
პროცესის მიმოხილვა**

**ფაქტები, ტენდენციები, რეკომენდაციები**

ეს პუბლიკაცია გამოიცა ევროკავშირის მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის ავტორებს და მასში გამოხატული მოსაზრებები არ წარმოადგენს ევროკავშირის ოფიციალურ მოსაზრებებს.

პროექტ „ნიენის პლატფორმას“  
აფინანსებს ევროკავშირი  
აღმოსავლეთ პარტნიორობის  
კულტურული პროგრამის ფარგლებში.



EUROEAST  
CULTURE

# ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა

*კვლევა ჩატარებულია ანა კოპალიანისა  
და სალომე ბენიძის მიერ 2012 წლის  
მონაცემების მიხედვით*

კვლევის მეთოდოლოგია, მონაცემების შეგროვება  
და ანალიზი I, II, III, IV, VI, VII, XII თავებისთვის  
ეკუთვნის ანა კოპალიანს;

კვლევის მეთოდოლოგია, მონაცემების შეგროვება  
და ანალიზი V, VIII, IX, X, XI თავებისთვის  
ეკუთვნის სალომე ბენიძეს;

კვლევა ინგლისურ ენაზე თარგმნეს ანა კოპალიანმა  
და სალომე ბენიძემ


კომენტარი - ბარბარა ვატენდორფი  
(ქართულ ენაზე თარგმნა მარიამ მენაბდე)

კომენტარი - გაგა ლომიძე  
(ინგლისურად თარგმნა მარიამ მენაბდე)

ინგლისური ტექსტის რედაქტირება -  
ანჯელა როდელი

ეს პუბლიკაცია არ ასახავს  
Next Page Foundation-ის ოფიციალურ  
შეხედულებებს.

This work is licensed  
under a Creative Commons  
Attribution-NonCommercial-ShareAlike  
2.5 License



განკუთვნილია მხოლოდ უფასო გავრცელებისათვის.

წინამდებარე კვლევა – „ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა“ – ბოლო 20 წლის განმავლობაში უცხოური ენებიდან ქართულზე შესრულებული ლიტერატურულ-მთარგმნელობითი პროცესის წარმოჩენას, მის არსებით მიმოხილვასა და სამომავლო პერსპექტივების დასახვას გულისხმობს. ზემოთაღნიშნული კვლევა ექსპერტებმა ანა კოპალიანმა და სალომე ბენიძემ პროექტ წიგნის პლატფორმის“ დაფინანსებითა და „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ მხარდაჭერით განახორციელეს.

წაშრომი ემყარება სტატისტიკურსა და სხვა სახის ემპირიულ მონაცემებს, ასევე ინტერვიუებს გამომცემლებსა და მთარგმნელებთან. იგი შეიცავს საქართველოში მოღვაწე ლიტერატურულ-მთარგმნელობითი სექტორის წარმომადგენლების კომენტარებსაც.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ბოლო თავში წარმოდგენილია ექვსი საკვანძო რეკომენდაცია, რომელიც წიგნისა და მთარგმნელობითი სექტორში მომუშავე კადრებს სამომავლო პერსპექტივებს უსახავს.

კვლევა განკუთვნილია მათთვის, ვინც თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი პროცესის ისტორიას, თეორიასა და პრაქტიკას ქმნის: თარგმანის საჯარო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირებისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მთარგმნელობითი კულტურის განვითარებას ემსახურებიან; წაშრომი მიზნად ისახავს, დაეხმაროს გამომცემლებს, მთარგმნელებსა და რედაქტორებს მართებული გადაწყვეტილებების მიღებასა და საქმის წარმატებულად განხორციელებაში; წინამდებარე კვლევა ასევე განკუთვნილია საერთაშორისო გამომცემლებისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართული საგამომცემლოსფეროთი; კულტუროლოგებისთვის, რომლებიც იკვლევენ მიმდინარე პროცესებს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით.

წინამდებარეორენოვანი ტექსტი ქმნის ბაზასდა მოუწოდებს დარგის პროფესიონალებსა და ფართო საზოგადოებას აქტიურად განიხილონ ქართულ ენაზე მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები.

# შინაარსი

## ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა

### რეზიუმე

1. კვლევის არეალი, მიზანი და მეთოდოლოგია;.....	8
2. შესავალი;.....	10
3. ქართული თარგმანის ისტორიული მიმოხილვა .....	12
3.1 ქართული ბიბლიური წიგნები;.....	12
3.2 საერო ლიტერატურის თარგმანი;.....	12
3.3 შექსპირი ქართულად; .....	13
3.4 „მთარგმნელთა კოლეგია“; .....	14
4. მთარგმნელები.....	16
4.1 მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა შერჩევის კრიტერიუმები _ მთარგმნელთა თვალთახედვა; .....	16
4.2 მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა განათლება; .....	19
4.3 მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა სოცალური და მატერიალური სტატუსი;.....	20
4.4 მთარგმნელთა თვალთ დანახული თანამედროვე ქართული თარგმანის პრობლემატიკა; .....	22
5. გამომცემლობების მთარგმნელობითი პოლიტიკა.....	24
5.1 მთარგმნელების შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები _ საგამომცემლო სახლების თვალთახედვა; .....	27
6. ლიტერატურული კონკურსები და ღონისძიებები მთარგმნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად .....	31
6.1 ლიტერატურული კონკურსები და ჯილდოები; .....	31
6.2 კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები ლიტერატურის მთარგმნელთათვის;.....	33
7. 1991-2012 წლებში ქართულ ენაზე ნათარგმნი ლიტერატურის ზოგადსტატისტიკური მონაცემები და მათი ანალიზი.....	35

7.1 ზოგადი მიმოხილვა; .....	35
7.2 ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურა; .....	36
7.3 თარგმნილი ლიტერატურის საერთო რაოდენობიდან მხატვრული ლიტერატურის პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით; .....	38
8. თარგმანის სახელმწიფო პოლიტიკა; .....	41
9. ეროვნული უმცირესობების ენებიდან თარგმნილი ლიტერატურა; .....	43
10. უცხოური ცენტრების, საელჩოებისა და ფონდების ხელშეწყობით თარგმნილი ლიტერატურა; .....	45
11. გამომცემლობების პიარ და მარკეტინგული აქტივობები თარგმნილი ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით; .....	47
12. რეკომენდაციები .....	49
<b>მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა, კომენტარი - გაგა ლომიძე .....</b>	<b>52</b>
<b>მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა, კომენტარი - ბარბარა ვატენდორფი .....</b>	<b>57</b>

მასალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ  
შემდეგ ბმულზე: **WWW.BOOKPLATFORM.ORG**

1. კვლევის „ქართულ ენაზე 1991 წლიდან მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა“ სრული ტექსტი და ორი კომენტარი კვლევის შესახებ
2. კვლევის „ქართულ ენაზე 1991 წლიდან მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა“ სამუშაო აღწერილობა
3. სხვადასხვა საერთაშორისო კვლევები თარგმანებისა და მთარგმნელობითი პოლიტიკის შესახებ

# ქართულ ენაზე 1991 წლიდან მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა

კვლევის მეთოდოლოგია

მონაცემების შეგროვება და ანალიზი შესრულებულია

ანა კოპალიანის<sup>1</sup> და სალომე ბენიძის<sup>2</sup> მიერ

## რეზიუმე

წინამდებარე კვლევა მიმდინარეობდა ფონდ „Next Page“-ისა და მისი პარტნიორების პროექტის „წიგნის პლატფორმის“ ფარგლებში და არის პირველი მცდელობა 1991 წლიდან დღემდე საქართველოს წიგნის ბაზარზე არსებული ქართულად თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის შესახებ მონაცემთა თავმოყრისა და მათ ანალიზისა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც დაევალება წლის განმავლობაში მიმდინარე მთარგმნელობითი საქმიანობის აღწერა, სტატისტიკა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის.

სასურველია, მოდიფიცირება განიცადოს მხატვრული თარგმანის საუნივერსიტეტო სწავლებამ და მეტი აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკულ საქმიანობაზე (მასტერკლასებზე, ვორკშოპებზე, საზაფხულო სკოლებზე). ამავედროულად, ხელი შეეწყოს თარგმანის თეორიისა და თარგმანის კრიტიკის სამეცნიერო დარგების განვითარებას.

<sup>1</sup> ანა კოპალიანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურული ურთიერთობებისა და თარგმანის პროფილის დოქტორანტი, მთარგმნელი.

<sup>2</sup> სალომე ბენიძე კომუნიკაციების სპეციალისტი, პოეტი, მთარგმნელი, პროექტის ასისტენტი.



საჭიროა შეიქმნას თარგმანის სახელმწიფო პოლიტიკა და გამოიყოს მასთან დაკავშირებული ფინანსური რესურსები, რათა ქართულ ენაზე ითარგმნოს მსოფლიო ლიტერატურის ისეთი ნიმუშები, რომლებიც ზოგადკულტურულ ფასეულობას წარმოადგენს, მაგრამ გამომცემლობების ინტერესებში არ შედის მათი არაკომერციულობის გამო. ამგვარი ღონისძიებები ასევე ხელს შეუწყობდა მთარგმნელთა ანაზღაურების გაზრდასაც, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ მწირია.

შემკვეთი ორგანიზაციები ქართველ მთარგმნელებს საკმაოდ მაღალ პროფესიულ სტანდარტებს მოითხოვენ და მათი სოციალური სტატუსიც ვინრო პროფესიულ წრეებში საკმაოდ მაღალია, თუმცა იგივე არ ეხება მხატვრულ მთარგმნელთა მატერიალურ სტატუსს.

თანამედროვე ქართული გამომცემლობები ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ თარგმანების თემატურ სერიებად გამოცემას. პოპულარული სერიებია: „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ (პროფესიონალთა გემოვნებით შერჩეული თანამედროვე რომანები) – გამომცემლობა „დიოგენე“, „ნობელის პრემიის ლაურეატები“ – გამომცემლობა

# 1. კვლევის არეალი, მიზანი და მეთოდოლოგია

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით საქართველოში არ ჩატარებულა თუნდაც მეტ-ნაკლებად ფუნდამენტური სისტემური კვლევა, რომელიც მიზნად დაისახავდა ქართულ ენაზე უცხოური ლიტერატურის თარგმნის პერიპეტიების მიმოხილვას და მათ მეცნიერულ ანალიზს, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე გამოკვლევა გახლავთ პირველი მცდელობა, რომ არა მხოლოდ საერთაშორისო თუ ადგილობრივ საზოგადოებას მისცეს ინფორმაცია ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ, არამედ თავად ამ სფეროში ჩართულ კერძო თუ საჯარო პირებს გააცნოს სტრუქტურაში შემავალი სხვა სეგმენტების წარმომადგენელთა პოზიცია და აქედან გამომდინარე, შეაჯეროს სხვადასხვა მხარეთა მოსაზრებები.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს ის, რაზეც შემდეგ უფრო დანვრილებით ვისაუბრებთ: რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაც კვლევის მიმდინარეობისას წარმოიშვა, არის ის, რომ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მცირეა იმ დანესებულებათა რიცხვი, რომლებიც მიმდინარე მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ სისტემურ აღრიცხვას აწარმოებენ. არსებული ორგანიზაციების ნაწილი, ვთქვათ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ამ საკითხის შესახებ მონაცემებს არ ფლობს. ჩვენს კვლევაში გამოყენებული ყველა სტატისტიკური მონაცემი ეკუთვნის ეროვნულ ბიბლიოთეკას, რომელსაც ასევე არ გააჩნია სრულყოფილი მონაცემები მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ, ვინაიდან კანონმდებლობა სრულყოფილად არ არეგულირებს იმას, რომ თითოეული ახალი ნაბეჭდი გამოცემის ეგზემპლარი ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცეს. ამიტომ, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ამ ორგანიზაციამ თავად მონახა გამოსავალი: იგი უფასოდ ანიჭებს ახალ გამოცემებს ISBN, ISSN და ISMN ნომრებს და სანაცვლოდ მიმდინარე ბიბლიოგრაფიის ეგზემპლარებს იღებს. ამიტომ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ფაქტობრივი ინფორმაცია, განსაკუთრებით 1990-იანი წლების თარგმანების შესახებ, რამდენადმე პირობითია.

კვლევაში ასევე გამოყენებულია ემპირიული მასალები: ხუთი ყველაზე მსხვილი საგამომცემლო სახლის, ყველაზე ქმედითი ფონდებისა და კულტურული წარმომადგენლობების მიერ მონოღებული დოკუმენტური და ზეპირი ინფორმაცია ამ წლებში

მათ მიერ წარმოებული მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ. თითოეული ამ ორგანიზაციათაგანი შერჩეულ იქნა იმ ნიშნით, რომ ისინი განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში. საგულისხმოა, რომ ყველა ინფორმაცია, რომელიც შეეხება ტირაჟებს, გაყიდვებსა და მთარგმნელთა ანაზღაურების საკითხებს, მხოლოდ ზეპირი სახით, პირადი კონტაქტების მეშვეობითაა მოპოვებული, ვინაიდან ამ სახის ინფორმაცია, როგორც წესი, გასაიდუმლოებულია და მათ შესახებ დოკუმენტაცია გარეშე პირებისთვის მიუწვდომელია.

კვლევაში გამოყენებულია მოქმედ მხატვრული ტექსტების მთარგმნელთა ინტერვიუები, სულ 15 ერთეული. მთარგმნელები შემდეგი პრინციპით შევარჩიეთ:

- ა) ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც უკვე მიაღწიეს გარკვეულ აღიარებას – გამოიცა მათ მიერ ნათარგმნი რამდენიმე წიგნი ან/და მიიღეს ესა თუ ის ჯილდო;
- ბ) გამოცდილი მთარგმნელები, რომელთაც მთარგმნელობით საქმიანობასთან პერმანენტული შეხება აქვთ, მოპოვებული აქვთ პროფესიონალის სტატუსი და ამა თუ იმ (ხანდახან ერთდროულად რამდენიმე) გამომცემლობის ფავორიტებად ითვლებიან;
- გ) უფროსი ასაკის აღიარებული მთარგმნელები.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი კვლევა არა მხოლოდ დაეხმარება დაინტერესებულ პირებს, გაეცნონ, თუ რა მდგომარეობაა ქართული თარგმანის ბაზარზე, არამედ საფუძველს დაუდებს სხვა, უფრო დეტალურსა და დანვრილებით კვლევებს, რათა უკეთ იქნას შესწავლილი ამ სფეროსთან დაკავშირებული პრობლემატიკა და ქართული ლიტერატურული თარგმანის სფეროში არსებული არცთუ ისე მცირე რაოდენობის ხარვეზების ამოსავსებად კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები გატარდეს.

## 2. შესავალი

მოგეხსენებათ, მხატვრული თარგმანის ტრადიცია, რაოდენობა და ხარისხი ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

საქართველოში ქართული ლიტერატურული თარგმანი საკმაოდ ადრეული პერიოდიდან, დაახლოებით მეოთხე საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს და მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში უწყვეტად ვითარდება (დანვრილებით ამის შესახებ იხ. 1-ლი თავი „ქართული თარგმანის ისტორია“), თუმცა ტრადიციის გარდა, არსებობს კიდევ სხვა ფაქტორები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია ხარისხიანი მთარგმნელობითი სკოლის მისაღებად.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც ქართული თარგმანის წინაშე დგას, მთარგმნელთა რესურსების ნაკლებობაა. მოგეხსენებათ, საქართველო საკმაოდ მცირერიცხოვანი ქვეყანაა, მისი მოსახლეობა დაახლოებით 5.000.000-ს წარმოადგენს და მაშასადამე, არაა გასაკვირი, თუკი საკმარისი ადამიანური რესურსი არ გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ტემპს დაენიოს და ქართულ ენაზე გამოიცეს თუნდაც ყველა ის მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურის სახეს ქმნიან; მით უმეტეს, რომ კულტურის მატერიალური მხარდაჭერა ქვეყნისთვის საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, ხოლო საქართველოსთვის ჩვეული ხშირი ეკონომიკური კრიზისები კიდევ უფრო ანელებენ ლიტერატურული თარგმანის ინტენსივობას. ამან გამოიწვია ის, რომ ქართულ ენაზე არ გვაქვს მრავალი ისეთი მსოფლიო კლასიკოსის თხზულებები, რომელთა თარგმნაც ქვეყნის კულტურის ღირსების საკითხია, მაგალითად, ბაირონის, პრუსტის, გინზბერგის მთელი რიგი ნაწარმოებები. ქართული ინტელექტუალების უმეტესი ნაწილი ამ ხარვეზს იმით ივსებს, რომ მინიმუმ ერთ უცხო ენას მაინც ეუფლებიან, რომელზეც შემდეგ ეცნობიან არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ სამეცნიერო ლიტერატურას. გასულ საუკუნეში ამ ენის როლს ძირითადად რუსული ასრულებდა, რომელსაც სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ანაცვლებს ინგლისური ენა. თუმცა, რასაკვირველია, გამოსავალი არ არის, ქვეყნის მოსახლეობა რომ სხვა ენაზე ეცნობოდეს მხატვრულ ლიტერატურას. მხატვრული თარგმანი არის ის ძირითადი რესურსი, რომლის მეშვეობითაც ორიგინალურ ლიტერატურაში მისი განვითარებისთვის საჭირო

სიახლეები შემოედინება, სალიტერატურო ენა ვითარდება. ამიტომაც, მთარგმნელობითი საქმიანობა ვერასოდეს იქნება მეორეხარისხოვანი.

ბოლო ხანებში მხატვრული თარგმანის ინტენსივობამ წინა წლებთან შედარებით იმატა, თუმცა არსებობს მთელი რიგი სტრუქტურული, ორგანიზაციული თუ მატერიალური პირობა, რომლებიც ამ პროცესის განვითარებას აფერხებს. ამ მიზეზთაგან აღსანიშნავია საქართველოში თუნდაც თარგმანის კვლევისა და სწავლების სისუსტე; მწირი, უსისტემო და უხარისხო თარგმანის კრიტიკა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, მსოფლიოსა და განსაკუთრებით დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციის მიზნით, საქართველოს კულტურული პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ქართული ლიტერატურა უცხო ენებზე ითარგმნოს და მსოფლიო კულტურის სრულფასოვანი ნაწილი გახდეს. ხშირად ეს პროცესი უკანა პლანზე აყენებს უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხს, რაც საკმაოდ მცდარი სტრატეგიაა, ვინაიდან თუკი ქართული ლიტერატურა მუდმივად არ მომარაგდება ხარისხიანი თარგმანებით, მალე იგი ვეღარ დაენევა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს და, მაშასადამე, ვეღარაფერს შემატებს მას.

### 3. ქართული თარგმანის ისტორიული მიმოხილვა

#### 3.1. ბიბლიური წიგნები ქართულ ენაზე

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას (IV ს.) ბიბლიური წიგნების – ძველი და ახალი აღთქმის – ქართულ ენაზე თარგმნა მოჰყვა, რამაც ხალხის მსოფლმხედველობასა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზე უდიდესი ზეგავლენა იქონია.

თანამედროვე სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ IV-V საუკუნეებში ჩნდება პირველი ქართული თარგმანები – ძირითადად იმ წიგნებისა, რომლებიც ღვთისმსახურებაში გამოიყენებოდა (სახარება, სამოციქულო, ფსალმუნები).

ამ პერიოდში მთარგმნელობითი საქმიანობა ეკლესია-მონასტრებში, ძირითადად ბერ-მონაზვნების წრეში მიმდინარეობდა. რელიგიური თავმდაბლობის პრინციპის თანახმად, ისინი ანონიმურად იღვწოდნენ და ამიტომაც, პირველ მთარგმნელთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

როგორც კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანებს სხვადასხვა ისტორია აქვთ (განსხვავებული პერიოდი, ორიგინალის ენა, მთარგმნელობითი მეთოდი). ასე რომ, ბიბლიის ქართული ტექსტი, თავისი ხასიათით, ნარევიანია. ქართულ ენაზე ნათარგმნი ყველა ბიბლიური წიგნი ერთად გამოიცა 978 წელს, მას ათონის (ომკური) ბიბლია ეწოდება. ეს, იმავდროულად, არსებულ თარგმანთა რედაქციულად გამთლიანების ცდაა.

ქართული თარგმანების ფილოლოგიურ-შედარებითი ანალიზის თანახმად, უძველესი ქართული თარგმანები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც თავისუფალი (აზრობრივი) თარგმანები, ხოლო გვიანდელი ხანისა – სიტყვასიტყვითი.

ქართული ბიბლიის ყველაზე სრული, საგულდაგულოდ რედაქტირებული ვერსია 1743 წელს, მოსკოვში მოღვაწე ქართველ ბიბლიოლოგთა კომისიის მიერ გამოიცა.

#### 3.2. საერო ლიტერატურის თარგმანი

თუკი ქართველები სასულიერო წიგნებს, ტრადიციულად, ძირითადად ბერძნულიდან და არამეულიდან თარგმნიდნენ,

საერო ლიტერატურაში უწინარესად სპარსულიდან ნათარგმნი საგმირო-სარაინდო პოემები დომინირებდნენ. და თუ სასულიერო ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში ადეკვატურად ითარგმნებოდა, საერო პოეზიის გადმოქართულებისას მეტწილად ე.წ. „თავისუფალი თარგმანის“ ხერხს იყენებდნენ. ამგვარი ინტერპრეტაციები უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. აღსანიშნავია, ქართულად გადმოკეთებული ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ (ქართული ვერსიით „როსტომიანი“), „ქილილა და დამანა“ და განსაკუთრებით „ვისრამიანი“, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა შემდეგი ხანის ორიგინალური ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

პროგრესული ევროპული მსოფლმხედველობა და დახვეწილი აღმოსავლური სალექსო ფორმა ერთმანეთს ჰარმონიულად შეერწყა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, რისი საუკეთესო მაგალითიცაა მე-12 საუკუნის ბოლოს შოთა რუსთაველის მიერ დაწერილი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

მომდევნო ხანის ქართული თარგმანი, მე-19 საუკუნემდე, ძირითადად ისევ სპარსული ლიტერატურით იკვებება და თარგმანის მეთოდებს შორის ისევ გადმოკეთების ხერხი დომინირებს. მე-19 საუკუნიდან, რუსეთთან პოლიტიკურად ინტეგრირებული ქართული საზოგადოება ნელ-ნელა დასავლური ლიტერატურით ინტერესდება და თარგმანებიც ჩნდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულად თარგმნილი უილიამ შექსპირის შემოქმედება.

### **3.3. შექსპირი ქართულად**

შექსპირის პიესებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში თარგმნიდნენ, ქართული თეატრის ინტერესების შესაბამისად. თუმცა ამ პერიოდის თარგმანები დედნიდან არ შესრულებულა და თითქმის ყველა მათგანი დაბალი ლიტერატურული ღირებულების გახლდათ. 1877 წელს გამოიცა პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი - შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირის“ ქართული თარგმანი, რომელიც ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძემ ივანე მაჩაბელთან ერთად შეასრულა.

მოგვიანებით, მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ივანე მაჩაბელმა მარტოგანაგრძო შექსპირის პიესების თარგმნა და შთამომავლობას შვიდი პიესის თარგმანი დაუტოვა, ესენია: „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“, „იულიუს კეისარი“, „ანტონიუს და კლეოპატრა“ და „კორიოლანოსი“. ეს თარგმანები დედნის კონგენიალურად ითვლებიან და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ივანე მაჩაბელმა შეძლო დაეძლია ის დიდი

მანძილი, რაც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ქართულ და ინგლისურ ენებს აშორებთ – შექსპირის ათმარცვლიან სტრიქონს ქართული თოთხმეტმარცვლიანი ტაეპი ჩაუნაცვლა, ვინაიდან ინგლისური ენა მონოსილაბურია, სტრიქონი მეტ ინფორმაციას იტევს, ვიდრე ეს ქართულ ენას შეუძლია. მაჩაბელმა ამის გასაწინააღმდეგებლად ქართულ გამოთქმათა ლაკონიზმი მოიშველია და პრობლემა ამგვარად გადაწყვიტა. ქართველმა მთარგმნელმა მოახერხა, შექსპირისეული დიალოგისთვის დამახასიათებელი დინამიკურობა შეენარჩუნებინა, ინგლისელი ავტორისთვის დამახასიათებელ სიტყვების თამაშსა და ფრაზის ორაზროვნებას მოხდენილი შესატყვისები უპოვნა. ამასთანავე, მან შეძლო, რომ ქართულ თარგმანში სინტაქსი უაღრესად ქართული და ბუნებრივი, ხოლო მეტყველება – ქართული სალიტერატურო და ხალხური მეტყველების მოხდენილი ნაზავი ყოფილიყო.

ივანე მაჩაბელმა არა მხოლოდ შექსპირის, არამედ, ზოგადად, ევროპული ლიტერატურის მხატვრული თარგმანისთვის მყარი ტრადიცია შექმნა.

მომდევნო პერიოდში შექსპიროლოგია ანუ შექსპირისმცოდნეობა საქართველოში ძალზე განვითარდა. მას სათავეში ედგა მეცნიერი ნიკო ყიასაშვილი, რომელიც არა მხოლოდ შექსპირის შემოქმედებას იკვლევდა, არამედ მისი ორგანიზებით გამოიცა შექსპირის თხზულებათა სრული კრებული. დღესდღეობით შექსპირის შემოქმედება ქართულ ენაზე სრულად არის გადმოტანილი და თარგმანთა უმეტესი ნაწილი მაღალმხატვრულია და მკითხველის დიდი მონონებით სარგებლობს. ყოველივე ამას კი მე-19 საუკუნეში საფუძველი ივანე მაჩაბელმა ჩაუყარა.

თუმცა საბჭოთა პერიოდამდე ქართულ ენაზე, ასე თუ ისე, მრავალი თარგმანი სრულდებოდა, ეს პროცესი საკმაოდ მეჩხრად და არაორგანიზებულად მიმდინარეობდა. საბჭოთა პერიოდის შემდეგ, თარგმნის პროცესს უფრო ინტენსიური და ორგანიზებული სახე მიეცა საქართველოში, რაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, რომელიც „მთარგმნელთა კოლეგიის“ სახელით იყო ცნობილი.

### **3.4. „მთარგმნელთა კოლეგია“**

თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია 1977 წელს დაარსდა და მისი მიზანი იყო ქართულ ენაზე მთარგმნელობითი დეფიციტის შევსება, მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე და პირიქით თარგმნა, ქართული ლიტერატურის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაცია.



„მთარგმნელთა კოლეგია“ დოტაციური ორგანიზაცია იყო, სახელმწიფოსგან საკმაოდ დიდ დაფინანსებას იღებდა და მაშასადამე, გარკვეულწილად, სახელმწიფო კონიუნქტურას ემორჩილებოდა, რაც ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ცნობილი და ღირებული ნაწარმოებების მხარდამხარ, მათთვის საბჭოთა ლიტერატურის შედარებით დაბალი ხარისხის ნაწარმის თარგმნაც სავალდებულო იყო.

ორგანიზაციის რესურსებით ქართულად თარგმნილი ნაწარმოები პირველად იბეჭდებოდა კოლეგიასთან არსებულ აღმანახ „საუნჯეში“, რომელიც დღემდე ქართული თარგმანის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ პერიოდულ გამოცემად რჩება.

ასევე, ორგანიზაციის ბაზაზე გამოიცემოდა რუსულენოვანი ჟურნალი „კავკასია“, რომელშიც ქართულ და სხვა კავკასიურ ენებზე შექმნილი რუსულად თარგმნილი ნაწარმოებები იბეჭდებოდა.

„მთარგმნელთა კოლეგიის“ მთარგმნელობითი სტრატეგია საკმაოდ საინტერესო იყო: სათარგმნი ლიტერატურის სიას ადგენდნენ, შემდეგ კი ე.წ. „ფილოლოგიურ თარგმანზე“ დაყრდნობით ბნკარედულ თარგმანს ამზადებდნენ. შეიქმნა ე.წ. „ბნკარედის ბიბლიოთეკა“, სადაც ნაკლებგავრცელებულ ენებზე დაწერილი ნაწარმოებების უფრო გავრცელებულ ენებზე შექმნილი ბნკარედული თარგმანები ინახებოდა. მთარგმნელებს ამ ბიბლიოთეკიდან მათთვის სასურველი ნაწარმოების შერჩევა და თარგმნა შეეძლოთ.

საკმაოდ საინტერესო და დღევანდელისგან განსხვავებული იყო მთარგმნელთა შერჩევის პრინციპებიც – ორიგინალი ენის ცოდნაზე მეტად ყურადღება მთარგმნელის ლიტერატურულ შესაძლებლობებსა და მშობლიური ენის გამომსახველობითი ხერხების სრულყოფილ ფლობას ექცეოდა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, თავისუფალი თარგმანის პრინციპის დომინირების ბაზას ქმნიდა.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ თარგმანს ორი რეცენზენტი ჰყავდა და იგი მხოლოდ მათი დადებითი დასკვნის შემდეგ ქვეყნდებოდა.

საგულისხმოა, რომ თუკი დღესდღეობით თარგმნილი ლიტერატურის ტირაჟი მაქსიმუმ 3000-ია, „მთარგმნელთა კოლეგია“, როგორც წესი, 40000-60000 ეგზემპლარს გამოსცემდა და, ჩვეულებრივ, მთელი ტირაჟი იყიდებოდა ხოლმე. თავისთავად ცხადია, იმ პერიოდში მთარგმნელთა ჰონორარიც მკვეთრად აღემატებოდა დღევანდელ ნიშნულს.

თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განშტოებას წარმოადგენდა კავკასიური ლიტერატურის განყოფილება, რომელიც კავკასიური ლიტერატურის პოპულარიზაციას ეწეოდა. ამ დროს მომზადდა კავკასიელ ხალხთა ფოლკლორის რვატომეული, რომელიც კოლეგიის დაშლის შემდეგ, 2000 წელს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიური სახლის“ ეგიდით გამოიცა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ „მთარგმნელთა კოლეგიის“ მიერ 1980-88 წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქ. ბიჭვინთაში, მთარგმნელთა საერთაშორისო სიმპოზიუმები ეწყობოდა.

პირველ ეტაპზე უცხოენოვანი მთარგმნელები ქართული პროზის, თანამედროვე პოეზიისა და ქართული რომანის ნიმუშებს სამი კვირის განმავლობაში ეცნობოდნენ, მეორე ეტაპზე კი ამ ნიმუშებს საჯაროდ განიხილავდნენ, რითაც, რასაკვირველია, საფუძველი ეყრებოდა ქართული ლიტერატურით უცხოელ მთარგმნელთა დაინტერესებასა და, აქედან გამომდინარე, ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმანსა და პოპულარიზაციას.

თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია 90-იან წლებში, შიდა დაპირისპირების გამო, ორ ნაწილად გაიყო და საკმაოდ დასუსტდა, რასაც სახელმწიფოში მიმდინარე მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა დაემატა, რის გამოც ორგანიზაციას დაფინანსება შეუწყდა. „მთარგმნელთა კოლეგიის“ ერთ-ერთი სეგმენტის, ლიტერატურული ურთიერთობების რედაქციის ბაზაზე, 1993 წელს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“ დაარსდა, რომელიც, სხვათა შორის, დღემდე აგრძელებს მთარგმნელობით საქმიანობას.

თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია უაღრესად მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო მოვლენაა ქართული თარგმანის ისტორიაში, რადგანაც მისმა არსებობამ დადებითი გამოცდილება აჩვენა, ორგანიზებული და სახელმწიფოებრივი ინტერესების სფეროში მოქცეული მთარგმნელობითი პოლიტიკის უპირატესობის თვალსაზრისით.

## 4. მთარგმნელები

საქართველოში წარმოებული მთარგმნელობითი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სეგმენტს, რასაკვირველია, მთარგმნელები წარმოადგენენ. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოვკითხეთ თორმეტი სხვადასხვა ასაკის, გამოცდილების, სოციალური სტატუსისა და აღიარების მქონე მთარგმნელი. ასევე, გამომცემლობების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას, განვსაზღვრეთ ის პირობები, რომელშიც თანამედროვე მთარგმნელებს უნევთ მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა: გამომცემლობები არაერთგზის მიუთითებენ, რომ მათ უჭირთ მთარგმნელთა შერჩევა, ვინაიდან მათი კომპეტენციის დონე ხშირად არ შეესაბამება გამომცემლობის სტანდარტებს. მეორე მხრივ კი, თავად მთარგმნელები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ვერ ასახელებენ გამომცემლობას, რომელიც მათ უფლებებს არ არღვევს და შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფს მათ შრომას. გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებიც თანამედროვე მთარგმნელობითი საქმიანობის თვალსაზრისით აქტუალურია. ესენია:

- 1) მხატვრულ მთარგმნელთა შერჩევის კრიტერიუმები – მთარგმნელთა თვალთახედვა;
- 2) მხატვრულ მთარგმნელთა განათლება;
- 3) მხატვრულ მთარგმნელთა სოციალური და მატერიალური სტატუსი;
- 4) მთარგმნელთა თვალთახედვა დანახული თანამედროვე ქართული თარგმანის პრობლემატიკა;

### **4.1. მხატვრულ მთარგმნელთა შერჩევის კრიტერიუმები – მთარგმნელთა თვალთახედვა;**

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა შერჩევისას გამომცემლობებს არ აქვთ დიდი არჩევანი, ვინაიდან სხვადასხვა ფაქტორების გამო, რომელთა შესახებაც შემდეგ ქვეთავებში ვისაუბრებთ, საქართველოში მხატვრულ მთარგმნელთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

თავად ის კრიტერიუმები, რომელთაც დღეს საქართველოში მთარგმნელს უყენებენ, მათგან საკმაოდ მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს და შემდეგ პუნქტებს მოიცავს:

- ა) **დედნის ენის სრულყოფილი ცოდნა** – საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, როგორც თანამედროვე ქართული

თარგმანმცოდნეობა, ასევე მთარგმნელობითი პრაქტიკა სრულად უარყოფს თარგმანისთვის შუალედური ენის გამოყენებას და იშვიათი შემთხვევების გარდა (მაგალითად, საქართველოში ძალიან ცოტაა ჩინური და იაპონური ენების მცოდნეები და შესაბამისად, ჩინურ და იაპონურ ლიტერატურას ქართველი მკითხველი, ძირითადად, კვლავაც შუალედური ენიდან შესრულებული თარგმანით ეცნობა), უპირატესობას უშუალოდ დედნიდან შესრულებულ თარგმანს ანიჭებს. მართალია, საქართველოში თარგმანის კრიტიკა არცთუ ძალიან ხშირი მოვლენაა, მაგრამ ყველა კრიტიკული წერილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთარგმნელის მიერ სათარგმნი ენის ნიუანსების - ფრაზეოლოგიზმების, იდიომატური გამონათქვამების, ეროვნული რეალიების და ა.შ. მართებულად გადმოტანას. მაშასადამე, დედნის ენის სრულყოფილი ცოდნა თანამედროვე საქართველოში მხატვრული მთარგმნელისთვის ნაყენებული ძირითადი პირობაა.

**ბ) სათარგმნი კონტექსტის სრულყოფილი ცოდნა** – ერთ-ერთი მთარგმნელთაგანი იხსენებს შემთხვევას, როდესაც გამომცემლობამ უარი თქვა მისი, როგორც უილიამ ფოლკნერის ერთ-ერთი რომანის მთარგმნელის, კანდიდატურაზე იმ მიზეზით, რომ მას არ ემოგზაურა ამერიკის სამხრეთულ შტატებში, არ იყო ნამყოფი ფოლკნერის მუზეუმში და მაშასადამე, ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა იმ პერიოდისა და გარემოს რეალიების, სპეციფიკური წეს-ჩვეულებებისა თუ სხვა ელემენტების შესახებ. მართლაც, ქართული თარგმანმცოდნეობისა და პრაქტიკული თარგმანის მოთხოვნათაგან მნიშვნელოვანია ის, რომ მთარგმნელმა არა მხოლოდ შინაარსობრივ და ლინგვისტურ დონეზე უნდა მოახდინოს ტექსტის ინტერპრეტაცია, არამედ სრულყოფილ ცოდნას უნდა ფლობდეს ნაწარმოებში ნაგულისხმევი ფონური ინფორმაციის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ნაწარმოების სამყაროსკენ მკითხველსაც გაუკვალოს გზა (რემარკების, ახსნა-განმარტებების, შენიშვნების და ა.შ. საშუალებით).

**გ) სამიზნე ენის სრულყოფილი ფლობა** – ვინაიდან თარგმნილი ნაწარმოები მიმღები ენის კულტურის ნაწილად აღიქმება, ცხადია, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მთარგმნელს შეეძლოს არა მხოლოდ სამიზნე ენის ყველა გამომსახველობითი საშუალებისა და უკვე არსებული ლიტერატურული რესურსებისა და ტრადიციების სრულყოფილი ფლობა, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, სამიზნე ენისა და კულტურისთვის უცხო ცნებების შესაბამისი ახალი ენობრივი საშუალებების წარმოქმნა და დამკვიდრება, რომლებიც შემდეგ, თავის მხრივ, ლიტერატურულ და ლინგვისტურ ტრადიციად იქცევიან.

**დ) ზოგადი განათლების მაღალი დონე** – ნაწარმოების კონტექსტის სრულყოფილად გადმოსაცემად, მთარგმნელი უნდა გაეცნოს არა მხოლოდ კონკრეტული ნაწარმოების შექმნის ეპოქასა თუ გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციას, არამედ უნდა ერკვეოდეს ყველა იმ ისტორიულ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ და ა.შ. წინაპირობაში, რომელსაც სათარგმნი ტექსტი ეყრდნობა. ქართული თარგმანმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, დალი ფანჯიკიძე, წერს: „თარგმანი უნდა ითვალისწინებდეს თავის მკითხველს, მაგრამ ამაღლებდეს მკითხველის დონეს და უფართოებდეს თვალსაწიერს, ე.ი. მთარგმნელმა უნდა იკისროს კულტურტრეგერის მისიაც.“<sup>3</sup>

არსებობს სხვა კრიტერიუმებიც: მაგალითად, მთარგმნელის ასაკი, რიგი გამომცემლობებისა, მაგალითად, გამომცემლობა „დიოგენე“ მნიშვნელობას ანიჭებს მთარგმნელის გამოცდილებას და, აქედან გამომდინარე, დიდწილად ხსიერ, მრავალ ნაწარმოებზე ნამუშევარ მთარგმნელს ანიჭებს უპირატესობას; გამომცემლობა „ინტელექტი“ კი თვლის, რომ ახალი დროის დინამიკასთან თავსებადობა ახალგაზრდა მთარგმნელთა პრეროგატივაა და მათი მოტივაცია ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე უკვე აღიარებული მთარგმნელებისა.

იმის გამო, რომ მთარგმნელთა შერჩევის კრიტერიუმები საკმაოდ მაღალია და მას ბაზარზე არსებულ მთარგმნელთა დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს, გამომცემლობები ცდილობენ, „თავიანთი“ პროფესიონალები ჰყავდეთ, რომლებიც მუდმივად კონკრეტული გამომცემლობის პროდუქციის თარგმნით იქნებიან დაკავებული და, მაშასადამე, ამ გამომცემლობასთან იქნებიან ასოცირებული. თავის მხრივ, მთარგმნელსაც ხელს აძლევს ამა თუ იმ გამომცემლობასთან “მიკუთვნებულობა”, რადგან ეს სტაბილურობის შეგრძნებას უქმნის მას.

#### **4.2. მხატვრულ მთარგმნელთა განათლება**

1958 წლიდან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (რომელიც იმ პერიოდში ერთადერთი უნივერსიტეტი გახლდათ) იქმნება მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების კათედრა, რომლის მიზანიც უშუალოდ მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელებისა და თარგმანის თეორეტიკოსების მომზადებაა. თუმცა ჩვენ მიერ გამოკითხული თხუთმეტი მთარგმნელიდან პროფესიით თარგმანმცოდნე მხოლოდ ორია. ჩვენი დაკვირვებით, მთარგმნელები ძირითადად იმ ენის სპეციალისტები არიან, რომლიდანაც თარგმნიან – სავარაუდოდ, ეს ოპტიმალური

<sup>3</sup> დალი ფანჯიკიძე, „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1995.

გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ქართულ უნივერსიტეტებში უცხო ენათა შემსწავლელ ფაკულტეტებზე „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ სავალდებულო საგანია და იგულისხმება, რომ კურსდამთავრებულები მხატვრული თარგმანის ხელოვნებაში მეტ-ნაკლებად ერკვევიან.

ამავე დროს, საქართველოში არცთუ იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როდესაც მთარგმნელები ჰუმანიტარული სფეროსგან სრულიად განსხვავებული პროფესიის წარმომადგენლები: ეკონომისტები, ინჟინრები თუ არქიტექტორები არიან, თუმცა მათი ნამუშევრები, ხშირ შემთხვევაში, არანაკლები მონონებით სარგებლობს, ვიდრე – პროფესიონალი მთარგმნელების. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხატვრული მთარგმნელის პროფესიის დასაუფლებლად სპეციალურ განათლებაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი თანდაყოლილი ლინგვისტური ნიჭი, ნაკითხობა და ფართო ზოგადი განათლებაა.

### **4.3. მხატვრულ მთარგმნელთა სოციალური და მატერიალური სტატუსი**

ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში იყო მთელი რიგი შემთხვევებისა, როდესაც გამომცემლები წიგნზე მთარგმნელის ვინაობის მითითებას საჭიროდ არ თვლიდნენ – დღესდღეობით ასეთი შემთხვევა თითქმის გამორიცხულია.

2002 წელს გამომცემლობა „დიოგენემ“ ცნობილი ქართველი მთარგმნელის, ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანთა კრებული „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“ გამოსცა, რომელშიც ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ თარგმნილი სპარსელი, ირანელი, რუსი და ევროპელი პოეტების ლექსები შევიდა – ეს გამომცემა მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ეს გახლდათ პირველი შემთხვევა ქართულ ლიტერატურაში, როდესაც წიგნის ყდაზე მხოლოდ მთარგმნელის სახელი დაენერა, ანუ მთარგმნელმა დომინანტური პოზიცია მოიპოვა.

მთარგმნელთა პოპულარიზაციას და მათი როლის წინ წამოწევას ხელი შეუწყო, ასევე, ლიტერატურულმა კონკურსებმა - „საბამ“ („თიბისი“ ბანკის ყოველწლიური ლიტერატურული დაჯილდოება) და „გალამ“ (თბილისის საკრებულოს ლიტერატურული პრემია), რომელთაც დაანესეს ნომინაცია „წლის საუკეთესო თარგმანისთვის“. ამ და სხვა ლიტერატურული პრემიების შესახებ დანვრილებით იხილეთ 6.1. ქვეგანყოფილება.

დღესდღეობით ახალბედა მთარგმნელებს, ძირითადად, გამომცემლობის მიერ შემოთავაზებული მასალის თარგმნა უწევთ; შედარებით წარმატებულ მთარგმნელებს კი საშუალება ეძლევათ, საკუთარი გემოვნების შესაბამისად აირჩიონ ნაწარმოები

გამომცემლობის წლიური გეგმის ჩამონათვლიდან, ანდა თავად შესთავაზონ გამომცემლობას მათთვის სასურველი ავტორი.

რაც შეეხება მთარგმნელთა ანაზღაურებას, იგი დიფერენცირებულია და გამომცემლობის ფინანსური შეძლებისა თუ მთარგმნელის სოციალური სტატუსის მიხედვით მერყეობს. მთარგმნელისთვის ჰონორარის გადახდის ორგვარი სისტემა არსებობს:

1) როცა მთარგმნელს ერთიანად (ზოგჯერ წინასწარ) უხდიან მთელ ჰონორარს და შემდეგ მას დამატებითი გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება აღარ აქვს, თუნდაც მისმა თარგმანმა გაყიდვების თვალსაზრისით დიდი წარმატება მოიპოვოს და გამომცემლობამ გამოცემის ტირაჟი მკვეთრად გაზარდოს. ნიგნზე ყველა უფლება ამის შემდეგ გამომცემლობას ეკუთვნის. გამომცემლობების მონაცემების მიხედვით, ამ შემთხვევაში მთარგმნელთა ჰონორარი საშუალოდ 1 გვერდი 5-6 ლარით (2.35–2.8 ევრო) განისაზღვრება; თუმცა, გამომცემლობა „დიოგენეს“ მონაცემებით, ბოლო ხანებში მათ მიერ გაცემული უმცირესი ჰონორარი 1 გვერდისთვის 5 აშშ დოლარს შეადგენს და გასამრჯელო მთარგმნელის კვალიფიკაციის შესაბამისად იზრდება.

2) ასევე მოქმედებს ე.წ. „როიალტის პრინციპი“ – როდესაც მთარგმნელებს გაყიდული ნიგნების რაოდენობიდან პროცენტი ერიცხებათ. როგორც წესი, ეს პროცენტული მაჩვენებელი 10-20%-ია. თუმცა გაყიდული ნიგნების რაოდენობის დათვლის მექანიზმი მთლიანად გამომცემლობის ხელშია და უცნობია, მთარგმნელს რა ბერკეტი აქვს გამომცემლობის მიერ შეთავაზებული ჰონორარის ადეკვატურობის შესამოწმებლად. გამომცემლობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მთარგმნელს შეუძლია ნიგნის მაღაზიების მიერ მონოდებული დოკუმენტაცია მოითხოვოს, თუმცა მათ პრაქტიკაში არც ერთ მთარგმნელს არ უცდია ამ ხერხით დაეცვა საკუთარი უფლებები.

თავად მთარგმნელთა გამოკითხვის მიხედვით, ისინი მთარგმნელთა ანაზღაურების საკითხს ქართული თარგმანის ბაზარზე არსებულ ნომერ პირველ პრობლემად მიიჩნევენ. ჩვენ მიერ გამოკითხულ მთარგმნელთა შორის მხოლოდ ორმა გვიპასუხა, რომ მხატვრული თარგმნიდან მიღებული სარგო მისი წლიური შემოსავლის 100%-ს შეადგენს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მათგან ერთი მთარგმნელი განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა. ამ ორი მთარგმნელის გარდა, დანარჩენ მთარგმნელთა წლიური შემოსავლის ის პროცენტული მაჩვენებელი, რაც თარგმანზე მოდის, საშუალოდ 10%-ს შეადგენს, ხოლო უფრო ტიტულოვანი მთარგმნელებისთვის - მაქსიმუმ შემოსავლის 50%-ს, რაც არცთუ მაღალი ციფრია.



ის ფაქტი, რომ მხატვრულ მთარგმნელთა ანაზღაურება მათ მიერ განეულ შრომას არ შეესაბამება, მხატვრული თარგმანის დინამიკის კლებას განაპირობებს, ვინაიდან თუნდაც საუკეთესო მთარგმნელები უმეტესწილად იძულებულნი არიან, შემოსავლის სხვადასხვა წყაროს ძიებით დაკავდნენ, ხოლო მხატვრული თარგმანი მათთვის სშირად საქმიანობის მეორეხარისხოვან დარგად, ნაწილობრივ ჰობის დონეზე რჩება, რაც სამწუხაროა, ვინაიდან ის დრო და ძალისხმევა, რომელთაც ისინი შემოსავლის სხვა წყაროს ძიებას ახმარენ, ქართული მხატვრული თარგმანის განვითარებას აფერხებს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მთელი რიგი პრობლემების მიუხედავად, როგორც მხატვრულ მთარგმნელთა სოციალური სტატუსი, ასევე მათი ანაზღაურება, წლიდან წლამდე მაინც უმჯობესდება, რაშიც თავისი წვლილი მიუძღვის საგამომცემლო ბიზნესის განვითარებას, საავტორო უფლებათა დაცვის საკითხის წინ წამოწევისა და მზარდ კონკურენციას.

#### **4.4. მთარგმნელთა თვალთ დანახული თანამედროვე ქართული თარგმანის პრობლემატიკა;**

ჩვენი კვლევა ითვალისწინებდა იმ პრობლემების წარმოჩენას, რომლებიც ქართველი მთარგმნელების აზრით, ყველაზე მეტად აფერხებს თანამედროვე ქართული მხატვრული თარგმანის განვითარებას. ესენია:

**1) მთარგმნელთა ახალი თაობის აღზრდა –** გამოცდილ ქართველ მთარგმნელთა აზრით, ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა, რომელიც ქართული თარგმანის განვითარებას აფერხებს, არის ის, რომ არ არსებობს საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც ახალი თაობის მხატვრული მთარგმნელის საქმიანობით დასაინტერესებლად იქნებიან მიმართული. ცნობილი ქართველი მთარგმნელის, ირმა ტაველიძის, აზრით, უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე მოსმენილი თარგმანმცოდნეობის მოკლე თეორიული კურსი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ახალგაზრდა მხატვრული თარგმანით დაინტერესდეს. საჭიროა ხანგრძლივი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, მხატვრული თარგმანის პროფესიონალურ დონეზე შესწავლის, თარგმანზე მუშაობის ტრადიცია. ერთგვარი თარგმანის სახელოსნოები, სადაც, ლექციებისა და მასტერკლასებისგან განსხვავებით, ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, თვითონ დაიკავონ დომინანტური როლი და პატარა ჯგუფებში პრაქტიკულად იმუშაონ მხატვრულ თარგმანზე. ამ თვალსაზრით, ეფექტური იქნება საზაფხულო სკოლების მოწყობაც. ყოველივე ეს გაზრდის თარგმანის ხარისხს და მოაგვარებს ქართული თარგმანის წინაშე



არსებულ ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას – მხატვრული თარგმანის ბაზარზე ახალგაზრდების სიმწირეს.

**2) მთარგმნელთა უფლებების დაცვა** – საქართველოში მთარგმნელთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მათი უფლებები სათანადოდ არ არის დაცული და ისინი უმეტესად გამომცემლობათა პრაგმატული მიდგომის მსხვერპლი ხდებიან. მაგალითად, ჰონორარი, რომელსაც გამომცემლობა მათ უხდის, საკმარისია მხოლოდ იმ პერიოდის სასიცოცხლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელშიც თარგმნის პროცესი მიმდინარეობს და თუ თარგმანის დასრულების შემდეგ მთარგმნელმა მაშინვე არ იმოვა ახალი სამუშაო, იგი, პრაქტიკულად, შემოსავლის გარეშე რჩება. ასევე, უაღრესად ხშირია შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის გამომცემლობა ხელახლა გამოსცემს საბჭოთა პერიოდში ნათარგმნ რომელიმე ნაწარმოებს ისე, რომ არც მთარგმნელს (თუ ის ცოცხალია) და არც მის სამართალმემკვიდრეებს (თუკი იგი გარდაცვლილია) ერთ ცენტსაც კი არ უხდის.

საქართველოში არ არსებობს არც ერთი ორგანიზაცია, პროფესიული კავშირი, კოლეგია, გაერთიანება, რომელიც მთარგმნელთა უფლებებსა და ინტერესებს დაიცავდა. ეს პრობლემა მით უფრო მწვავედ დგას, რომ არცთუ შორეულ წარსულში არსებობდა ჩვენ მიერ ნახსენები ე.წ. „მთარგმნელთა კოლეგია“, რომელიც მხატვრულ მთარგმნელებს საკმაოდ დიდ პროფესიულ კომფორტს უქმნიდა.

**3) თარგმანის სახელმწიფო პოლიტიკა** – მთარგმნელთა მოსაზრებით, თანამედროვე საგამომცემლო ბაზარზე ძირითადად მოთხოვნა ისეთ ჟანრებზეა (ფენტეზი, დეტექტივი, ბულვარული რომანები, ბესტსელერები), რომლებიც მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა მაღალმხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა; ამ დროს კი ქართულ ლიტერატურას აკლია უამრავი წიგნი, რომელიც მნიშვნელოვანია მსოფლიო ლიტერატურისთვის და მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურული ქვეყნის ენაზეა თარგმნილი, ვთქვათ, პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“ (მთარგმნელ ქეთი ქანთარიას შენიშვნა). შესაძლებელია, საგამომცემლო ბაზარი ამ ნაწარმოებების კომერციული ღირებულებიდან გამომდინარე, არასოდეს დაინტერესდეს მათი თარგმნით. ამიტომ, მთარგმნელთა მოსაზრებით, აუცილებელია, არსებობდეს თარგმანის სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო გამოყოფს კვალიფიციურ კადრებს და მატერიალურ სახსრებს, რათა ქართული ლიტერატურისა და თარგმანის ეს ხარვეზი ამოივსოს.

## 5. გამომცემლობების მთარგმნელობითი პოლიტიკა<sup>4</sup>

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნების რაოდენობა ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა. პარალელურ რეჟიმში იზრდება ქართული გამომცემლობების რაოდენობაც. საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში იხსნება წიგნის ახალი მაღაზიები. შეიძლება ითქვას, რომ ტენდენცია საკმაოდ კარგია და ჩანს, რომ პრობლემების და არც ისე დიდი ბაზრის მიუხედავად, ქართული საგამომცემლო ბიზნესი ნელი ნაბიჯებით, მაგრამ წარმატებით ვითარდება.

სერიოზული ძალისხმევაა საჭირო, რომ ერთი მხრივ, მკითხველს მიეწოდოს მაღალი დონის თარგმნილი ლიტერატურა და გამომცემლობამ ავტორიტეტის მოპოვება და შენარჩუნება მოახერხოს, მეორე მხრივ კი, პროექტი ფინანსურად მომგებიანი აღმოჩნდეს. საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებასა და ხარისხიანი პროდუქციის შექმნას შორის ოქროს შუალედის მოძებნა საკმაოდ რთულია.

სათარგმნი ლიტერატურის შერჩევისას, გამომცემლები ხშირად განსაზღვრავენ სხვადასხვა სახის პრიორიტეტებსა და კრიტერიუმებს, როგორცაა ნაწარმოების ხარისხი და მსოფლიო მასშტაბით აღიარება, ავტორის პოპულარობა საქართველოში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს წიგნის გაყიდვას, თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში, საკმაოდ ბევრი, ქართველი მკითხველისთვის აქამდე უცნობი ავტორი ითარგმნა. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისთვის“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს, გამომცემლობა „დიოგენეს“ კი მკაცრად განსაზღვრული სარედაქციო პოლიტიკა აქვს. მისი წარმომადგენლის თქმით, „დიოგენე“ სათარგმნი ნაწარმოებების შერჩევისას პრიორიტეტს ანიჭებს არა საშუალო სტატისტიკური მკითხველის, არამედ პროფესიონალი ლიტერატორების

<sup>4</sup> წინამდებარე თავი ეყრდნობა 6 უმსხვილესი ქართული გამომცემლობის: „დიოგენეს“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“, „სიესტას“, „არტანუჯის“, „ინტელექტისა“ და „პალიტრა L“-ის მიერ მოწოდებულ მონაცემებს. ეს გამომცემლობები ორი ნიშნით შევარჩიეთ: 1. ისინი ყველაზე აქტიურად მონაწილეობენ მთარგმნელობით პროცესში; 2. ამ გამომცემლობებმა ჩვენთან პროექტის ფარგლებში ითანამშრომლეს.

გემოვნებას, ამიტომაც იშვიათად თარგმნიან სხვადასხვა სახის ბესტსელერებს, ფენტეზისა და დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებებს (თუმცა აქვე უნდა გავიხსენოთ ნიკოლა სპარკსისა და სტივენ კინგის ბესტსელერების ქართული გამოცემები) და აქცენტი გადააქვთ ფასეულ ლიტერატურაზე, რომელიც შეიძლება მოცემულ მომენტში დიდი რაოდენობით არ იყიდებოდეს, მაგრამ, ზოგადად, მათი თარგმნა ამაღლებდეს ქვეყნის ლიტერატურულ დონეს.“

რიგ შემთხვევებში არსებობს სხვა ფაქტორებიც. მაგალითად, გამომცემლობა „ინტელექტი“ გამოსცემს ნობელის პრემიის ლაურეატი მწერლების სერიას, რაც საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შესაბამისად, გამომცემლობის ძირითადი რესურსი სწორედ აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებას ხმარდება. პროექტის ფარგლებში ითარგმნება და გამოიცემა სხვადასხვა პერიოდის, ჟანრისა და ხარისხის ნაწარმოებები, რაც ნიგნის გაყიდვადობაზე ორიენტირებულობას თავიდანვე გამორიცხავს. ფინანსური რისკის არსებობის მიუხედავად, გამომცემლობის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აუცილებელია, ქართველ მკითხველს ყველა ნობელიანტი ავტორის ქართულ ენაზე გაცნობის საშუალება მიეცეს.

გამომცემლობა „სიესტა“ ძირითად აქცენტს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის კლასიკური ლიტერატურის თარგმნაზე აკეთებს. „სიესტა“ პრიორიტეტს იმ ნიგნების თარგმნას ანიჭებს, რომელთა გამოსაცემადაც სხვადასხვა წყაროდან სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების მოპოვებაა შესაძლებელი. თუმცა ნიგნების გარკვეული რაოდენობის გამოსაცემად საჭირო რესურსებს გამომცემლობა რიგ შემთხვევებში მთლიანად საკუთარ თავზე იღებს.

ჟანრობრივი სიჭრელით გამოირჩევა გამომცემლობა „არტანუჯი“. ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი ტექსტების გვერდით, გამომცემლობა „არტანუჯი“ ცნობილი ფეხბურთელების ავტობიოგრაფიებსაც ბეჭდავს. გამომცემლობის პროექტების მენეჯერის თქმით, ასეთი ნიგნების თარგმნა ერთგვარი სტიმულია ქართველი სპორტსმენებისთვის, რომ მომავალში მათ საკუთარი ბიოგრაფიებიც დაწერონ. სერია ჟანრის პოპულარიზაციას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელების ბიოგრაფიების მიმართ მკითხველის ინტერესი საკმაოდ დიდია.

საქართველოში თითქმის არ გამოიცემა თარგმნილი პოეზია. მიზეზი ისევე და ისევე პოეზიის არაკომერციულობაში უნდა ვეძებოთ. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს გამომცემლობა „ინტელექტის“ სერია, რომლის ფარგლებშიც ცნობილი ლექსების ყველა ქართულ თარგმანს თავს უყრიან და გამოიცემენ. იმის მიუხედავად, რომ ნიგნები საკმაოდ პატარა მოცულობისაა, მასალის მოძიება

და თავმოყრა საკმაოდ დიდ შრომასთანაა დაკავშირებული. პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია იმ ადამიანებისთვის, ვინც ქართული მთარგმნელობითი სკოლის განვითარებითა და მისთვის დამახასიათებელი ტენდენციების შესწავლითაა დაინტერესებული. კრებულებში ცნობილი მთარგმნელების გვერდით, ახალგაზრდების ნამუშევრებიცაა შესული. თარგმანების ნაწილი საგანგებოდ პროექტისთვის შეიქმნა. როგორც გამომცემლობის წარმომადგენელმა აღნიშნა, პროექტი კომერციული თვალსაზრისით სრულიად არამომგებიანია, თუმცა მან თავისი ფუნქცია წარმატებით შეასრულა. კრებულებში თესული თარგმანები ხარისხობრივად საკმაოდ განსხვავდება, თუმცა გამომცემლობის ხელმძღვანელობა თვლის, რომ საერთო სურათი საკმაოდ იმედისმომცემად გამოიყურება.

გამომცემლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ორიგინალის ენიდან თარგმნა მათთვის პრიორიტეტულია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. იმ შემთხვევაში, თუკი ვერ მოიძებნა რომელიმე კონკრეტული ენიდან მთარგმნელი, თარგმნა შუალედური ენიდან ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ქართულად თარგმნილი ლიტერატურის დიდი ნაწილი სწორედ შუალედური ენიდან, უმეტეს შემთხვევაში, რუსულიდანაა ნათარგმნი და ბევრი მათგანი დღეს ქართული თარგმანის საუკეთესო ნიმუშებს შორისაა. ამის მიუხედავად, თანამედროვე მკითხველისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქართველი გამომცემლები შუალედური ენიდან თარგმნის პრაქტიკას დადებითად არ აფასებენ და მაქსიმალურად ცდილობენ, მსგავს შემთხვევებს თავი აარიდონ. გამომცემლობა „სიესტას“ ხელმძღვანელის თქმით, „სიესტას“ შუალედური ენიდან თარგმნილი არც ერთი წიგნი არ აქვს გამოცემული.

ბოლო წლების განმავლობაში, ქართულ ენაზე ბევრი ისეთი წიგნი გამოვიდა, რაც მანამდე თარგმნილი არ იყო. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“, „დიოგენეს“, „ინტელექტის“, „არტანუჯისა“ და „სიესტას“ წარმომადგენლები პრიორიტეტს სწორედ ასეთი ტიპის ლიტერატურას ანიჭებენ. თავისუფალი ბაზრის არსებობამ გამომცემლობებს შორის კონკურენცია გაზარდა. შესაბამისად, თითოეული მათგანი ცდილობს, მკითხველს რაც შეიძლება ორიგინალური და ხარისხიანი პროდუქცია მიანოდოს. საგულისხმოა, რომ „პალიტრა L“-ის პროექტის, „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ ფარგლებში, სხვადასხვა დროს თარგმნილი და გამოცემული წიგნების ხელახლა დაისტამბა. თუ სერიის პოპულარობით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა გაამართლა.

გამომცემლობების ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბავშვო ლიტერატურის თარგმნას, რომელთა გამოცემის დროსაც განსაკუთრებული აქცენტი ილუსტრაციებზე კეთდება.

დღესდღეობით, საქართველოში მოქმედი ყველა გამომცემლობა იცავს კანონს საავტორო უფლებების შესახებ და ნებისმიერ ვითარებაში მასზე დაყრდნობით ხელმძღვანელობს. 90-იან წლებში ამ მხრივ სიტუაცია სრულიად უკონტროლო იყო. საავტორო უფლებების საკითხი დაახლოებით 2000 წლიდან დარეგულირდა, თუმცა ზოგიერთი გამომცემლობა 90-იან წლებში უკვე ყიდულობდა საავტორო უფლებებს. ქართველი გამომცემლები თვლიან, რომ საავტორო უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში უპირობო ლიდერია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამომცემლებთან საუბრის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- თანამედროვე კლასიკა;
- თანამედროვე ბესთსელერები;
- კლასიკური ნაწარმოებები, რომლებიც არ ყოფილა ნათარგმნი ქართულად და რომელთა თარგმნაც აუცილებელია ქართული მთარგმნელობითი სკოლის გაძლიერებისთვის და მკითხველის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- წიგნების სერიებად გამოცემა, რაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მკითხველებს შორის;
- წიგნები, რომლებიც შესაძლოა არსარგებლოდ განსაკუთრებული პოპულარობით, თუმცა სხვადასხვა სერიის შესავსებად გამომცემლებს მათი მომზადება და დაბეჭდვა მიზანშეწონილად მიაჩნიათ;
- საბავშვო ლიტერატურა;
- გამომცემლების აბსოლუტური უმრავლესობა უპირატესობას ორიგინალის ენიდან თარგმნას ანიჭებს.

### **5.1. მთარგმნელების შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები – საგამომცემლო სახლების თვალთახედვა**

თარგმნართული და კომპლექსური პროცესია. სათანადო ცოდნასა და განათლებასთან ერთად, მთარგმნელისა და ნაწარმოების ურთიერთობის მთავარი საფუძველი მთარგმნელის სამუშაო მასალის მიმართ დამოკიდებულება და წიგნის, მისი ავტორისა და მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობაა. „მხოლოდ ენის ფლობა არ არის საკმარისი“, „კარგად ჩანვდა მწერლის სამყაროს“, „ცუდად არ თარგმნის, მაგრამ ეპოქას ვერ გრძნობს“ – ასეთ შეფასებებს საკმაოდ ხშირად მოისმენთ და წაიკითხავთ. გამომცემლის მიერ მთარგმნელის არასწორად შერჩევა თავიდანვე ზრდის ნათარგმნი წიგნის წარუმატებლობის ალბათობას.

არსებობენ მთარგმნელები, რომელთაც განსაკუთრებით კარგად გამოსდით რომელიმე კონკრეტული მწერლის შემოქმედების თარგმნა და ამის დასტური ნლების მანძილზე გამოცემული, წარმატებით გაყიდული ნიგნებია, რომლებიც მკითხველმა შეიყვარა. უფრო მეტიც, კონკრეტული მწერლების გვარები ლიტერატურის მოყვარულთათვის კონკრეტული მთარგმნელების გვარებთან ასოცირდება.

ქართველი გამომცემლები, ერთი მხრივ, ცდილობენ, ითანამშრომლონ მთარგმნელებთან, რომელთა სახელიც თავისთავადაა ხარისხის ნიშანი, მეორე მხრივ კი არც ახალგაზრდა მთარგმნელებთან თანამშრომლობისგან იკავებენ თავს. სხვადასხვა გამომცემლობა მთარგმნელების შერჩევისას განსხვავებული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ მთარგმნელის შერჩევის ერთადერთ კრიტერიუმად თარგმანის ხარისხს ასახელებს. თარგმანის ხარისხი გადამწყვეტია სხვა გამომცემლობებისთვისაც. გამომცემლობა „დიოგენეს“ შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მთარგმნელის კვალიფიციურობა. შესაბამისად, „დიოგენეს“ ჰყავს მთარგმნელთა მუდმივი, დაახლოებით ათი პროფესიონალისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებიც მუდმივად აღნიშნული გამომცემლობის ნიგნებზე მუშაობენ. ჯგუფის შემადგენლობა თითქმის უცვლელია. „დიოგენეს“ წარმომადგენლის თქმით, ყოფილა შემთხვევები, როცა ახალგაზრდა, უცნობ მთარგმნელს შეუთავაზებია თავისი ნამუშევრები გამომცემლობისთვის და თანამშრომლობა შემდგარა, თუმცა მსგავსი ფაქტები საკმაოდ იშვიათია და გამონაკლის წარმოადგენს.

2000-იანი წლების დასაწყისში სწორედ „დიოგენე“ იყო ის გამომცემლობა, რომელიც ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერლებისა და მთარგმნელების გამოსავლენად კონკურსებს ატარებდა და მათ ნახალისებასა და ლიტერატურულ პროცესებში ჩართვას ცდილობდა, თუმცა დღეს „დიოგენე“ მსგავს პროექტებს აღარ ახორციელებს და ამ ეტაპზე, გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი თარგმნილი ლიტერატურა საკმაოდ ცნობილი მთარგმნელების სახელებს უკავშირდება.

თარგმანების და, ზოგადად, გამოსაცემი ნაწარმოებების შერჩევის განსხვავებული სისტემა აქვს გამომცემლობა „სიესტას“. გამომცემლობას ჰყავს ათიადამიანისგან შემდგარი ლიტერატურული საბჭო, რომელიც შემოსულ ნაწარმოებებს განიხილავს და გამომცემლობის ხელმძღვანელობას რეცენზიების სახით აწვდის დასკვნას. საბჭოში შედიან პოეტები, მწერლები, მთარგმნელები და კრიტიკოსები. საბჭოს შემადგენლობა შეიძლება განსახილველი



ტექსტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე შეიცვალოს. საბჭოს წევრების ანაზღაურებას გამომცემლობა „სიესტა“ უზრუნველყოფს. ლიტერატორების პარალელურად, ნაწარმოებების შესახებ დასკვნას ფინანსური განყოფილებაც აკეთებს, რადგან როგორც უკვე მრავალგზის აღვნიშნეთ, საგამომცემლო ბიზნესს ისევე ესაჭიროება მოგების მომტანი პროდუქტი, როგორც ნებისმიერ სხვას. გამომცემლობის ხელმძღვანელის თქმით, საბჭო შემოსული ნაწარმოებების 70 %-ზე მეტს იწუნებს.

რაც შეეხება თავად გამომცემლობა „სიესტას“ მიერ სათარგმნად შერჩეული ლიტერატურის მთარგმნელების მოძიებას, აქ გამომცემლობა თავის ათწლიან გამოცდილებას ეყრდნობა. „სიესტასაც“ ჰყავს მთარგმნელთა ჯგუფი, რომელთანაც დიდი ხანია თანამშრომლობს. სხვადასხვა დროს თითოეულმა მათგანმა ზემოთ ხსენებული საბჭოსგან დადებითი შეფასება მიიღო.

გამომცემლობა „ინტელექტის“ პროექტების მენეჯერმა რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გამოყო. მან ტექნიკურ დეტალებსაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ზოგჯერ მთარგმნელისა და გამომცემლობის თანამშრომლობას მთარგმნელის მოუცვლელობის გამოც ეშლება ხელი, რადგან გამომცემლობებისთვის მისაღებ მთარგმნელთა რიცხვი საქართველოში არც ისე დიდია. გამომცემლობის წარმომადგენლის თქმით, ზოგჯერ ინგლისური ენიდან მთარგმნელის მოძიებაც კი რთულდება.

გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მთარგმნელის მიდგომა წიგნისა და მისი ავტორისადმი. „ინტელექტის“ წარმომადგენლებს კარგად ესმით, რომ მთარგმნელების გარკვეულ ნაწილს საყვარელი ავტორები ჰყავს, რომელთა ტექსტებსაც წლები დაუთმეს და ყოველთვის ცდილობენ, სათარგმნი მასალის შეთავაზებისას მთარგმნელის სურვილი, ინტერესი და ემოციური დამოკიდებულებაც კი გაითვალისწინონ. ისინი თვლიან, რომ ასეთ შემთხვევაში, როცა მთარგმნელისთვის წიგნზე მუშაობა რუტინა არ არის, გაცილებით უკეთესი შედეგის მიღწევაც შესაძლებელია.

გამომცემლობა „ინტელექტი“, სხვა გამომცემლობების მსგავსად, დიდ ყურადღებას აქცევს მთარგმნელების გამოცდილებას, მათ მიერ უკვე შესრულებული სამუშაოს ხარისხს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლობა „ინტელექტი“, გამომცემლობა „არტანუჯთან“ ერთად, ახალგაზრდა მთარგმნელებს საკმაოდ ხშირად აძლევს საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვის საშუალებას. რიგ შემთხვევებში, შედარებით გამოუცდელი მთარგმნელებისთვის რთული და დიდი მოცულობის წიგნზე მუშაობაც შეუთავაზებიათ. გამომცემლობების ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ სხვაგვარად

მთარგმნელთა ახალი თაობის აღზრდა შეუძლებელია და აღნიშნავენ, რომ მათი ნდობა ახალგაზრდებისადმი, უმეტეს შემთხვევებში, ამართლებს.

როგორც გამომცემლებთან საუბრიდან ჩანს, ნაწარმოებების შერჩევაში მთარგმნელებიც ხშირად მონაწილეობენ. გამომცემლობა „სიესტა“, ძირითადად, სწორედ მთარგმნელთა მიერ შემოთავაზებულ ნიგნებს გამოსცემს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სიესტას“ სახელს არცერთი სერიის გამოშვება არ უკავშირდება. საფიქრებელია, ეს ფაქტი მთარგმნელებს მეტ თავისუფლებას ანიჭებს, რომ გამომცემელს სასურველი ნაწარმოებები შესთავაზონ.

სხვა გამომცემლობების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ძირითადად, ტექსტებს მთარგმნელებს გამომცემლობები სთავაზობენ. ასევე, რიგ შემთხვევებში, მთარგმნელებს შეუძლიათ, თავად აირჩიონ სასურველი ნაწარმოები გამომცემლის მიერ შედგენილი სათარგმნი ლიტერატურის ნუსხიდან. გამომცემლებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე საგამომცემლო სფერო და მასში ჩართულ პირთა ინტერესები იმდენად ფართოა, რომ მთარგმნელის აქტიური თანამონაწილეობა აუცილებლობად იქცა.

შედარებით რთულია სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის პროცესი. სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნისას ერთ-ერთ საკვანძო ფიგურას წარმოადგენს სამეცნიერო რედაქტორი, რომელიც ნიგნის ტერმინოლოგიურ თუ თეორიულ გადასინჯვას და გამართვას უზრუნველყოფს. თარგმნილი სამეცნიერო ლიტერატურის რაოდენობით გამომცემლობა „არტანუჯი“ გამოირჩევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარგმანის შესრულება საკმაოდ კომპლექსური სამუშაოა და ნიგნზე მუშაობის დანებებისას გამომცემლობები ითვალისწინებენ:

- მთარგმნელის პროფესიონალიზმს;
- მთარგმნელის გამოცდილებას;
- მთარგმნელის დამოკიდებულებასა და მოსაზრებას კონკრეტულ ავტორთან და ნაწარმოებთან დაკავშირებით;

მთარგმნელისა და გამომცემლობის თანამშრომლობის შემაფერხებელ ფაქტორებად დასახელდა:

- მთარგმნელების მოუცლელობა (პროფესიონალი მთარგმნელების მცირერიცხოვნების გამო);
- მწირი ბიუჯეტი, რის გამოც გამომცემელმა, შესაძლოა, ვერ მოახერხოს მთარგმნელის დაინტერესება;
- სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის შემთხვევაში, შესაბამისი სფეროთი დაინტერესებული მთარგმნელების მცირერიცხოვნება;



## 6. ლიტერატურული კონკურსები და ღონისძიებები მთარგმნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთარგმნელთა პროფესიონალიზაციას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყობს ლიტერატურულმა კონკურსებმა.

ამას გარდა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, უფრო და უფრო მეტი ინტენსივობით ტარდება ღონისძიებები, რომელიც მთარგმნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ კონსოლიდაციას ისახავს მიზნად.

ეს კონკურსები და ღონისძიებები თავისთავად მიანიშნებს, რომ 1990-იან წლებთან შედარებით, მხატვრული თარგმანით დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამიტომ, ვფიქრობთ, მათი მიმოხილვა თანამედროვე ქართული თარგმანის სრული სურათის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი იქნება.

### 6.1. ლიტერატურული კონკურსები და ჯილდოები

უპირველესად, უნდა აღვნიშნოს ლიტერატურული პრემია „საბა“, რომელიც 2003 წელს „თი-ბი-სი“ ბანკმა, პენ-ცენტრმა და ტელეკომპანია „რუსთავი 2-მა“ დააარსეს და დღესდღეობით ქართულ ლიტერატურულ სამყაროში ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება, რამდენადაც სხვა კონკურსებთან შედარებით, მაღალი საპრიზო ფონდი და მედიის დიდი მხარდაჭერა აქვს.

პრემიის დაარსების პირველივე წელს, შვიდ სხვა ნომინაციასთან ერთად, დაწესდა ნომინაცია „წლის საუკეთესო თარგმანისთვის“, რომელიც მას შემდეგ ყოველ წელს გაიცემა; ხოლო 2013 წელს პირველად გაიცა პრიზი ნომინაციაში „ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანისთვის“.

თუკი თვალს გადავავლებთ „საბას“ „საუკეთესო თარგმანის“ ნომინაციას პრემიის დაარსებიდან დღემდე, ვნახავთ, რომ იგი გამოირჩეოდა არა მხოლოდ ე.წ. „შორთლისტში“ მოხვედრილი ნაწარმოებების სიმრავლით, არამედ მათი ხარისხითაც. როგორც წესი, იმარჯვებენ კლასიკური ლიტერატურის ძეგლთა თარგმანები (გოეთე, კატულუსი, საადი შირაზელი, „ბჰაგავადგიტა“ და ა.შ.) და ასევე უნდა აღვნიშნოს, რომ უპირატესობა ენიჭება აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშთა თარგმანებს, მათი განსაკუთრებული ხარისხი კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, ქართულ და აღმოსავლურ ლიტერატურათა ურთიერთობის ხანგრძლივ ტრადიციას უნდა მივანეროთ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ „საბას“ „საუკეთესო თარგმანის“ ნომინაციის შედეგები საზოგადოებაში ყველაზე იშვიათად იწვევს ხოლმე სკეპტიციზმს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ „საბას“ მთავარ ნომინაციაში „პრემია ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ ათიდან 4 შემთხვევაში ჯილდო სწორედ დამსახურებულ მთარგმნელებს გადაეცათ, ასევე 2007 წელს ქეთი ქანთარიას მიერ ნათარგმნმა დი ბი სი პიერის „ვერნონ გენიოს ლითლმა“ „საბა“ წლის საუკეთესო დებიუტისთვის აიღო, რაც ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა პრემიის ისტორიაში.

ნომინაცია „წლის საუკეთესო თარგმანისთვის“, ასევე, თბილისის საკრებულოს მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემია „გალას“ ფარგლებშიც არსებობს. ეს პრემია უკვე ექვსი წელია გაიცემა და ამ ნომინაციამაც მნიშვნელოვანი როლი შეიტანა საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებაში.

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ ორი ლიტერატურული ჯილდოს გარდა, ლიტერატურული კონკურსები, ძირითადად, პროზასა და პოეზიაში იმართება და იშვიათად ითვალისწინებენ სხვა მიმართულებებს. შეიძლება სწორედ ამის საკომპენსაციოდ, გამომცემლობა „დიოგენემ“ ოთხჯერ (2005, 2006, 2010 და 2011 წლებში) ჩაატარა კონკურსი ნიჭიერ ახალგაზრდა მთარგმნელთა გამოსავლენად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონკურსები ძირითადად პოეზიის მთარგმნელთა აღმოჩენაზე იყო ორიენტირებული.

ასევე აღსანიშნავია გამომცემლობა „დიოგენესა“ და გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ ჩატარებული „ერთი ლექსის თარგმანის“ კონკურსები; ხოლო 2006 წლიდან რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფონდი ყოველწლიურად მართავს თანამედროვე უცხოური დრამატურგიის ქართული თარგმანის კონკურსს, რომელიც მიზნად ისახავს ქართული თეატრის გამდიდრებას აქტუალური და საინტერესო პიესების ხარისხიანი თარგმანებით.

## **6.2. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები ლიტერატურის მთარგმნელთათვის**

აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლებისგან განსხვავებით, უფრო და უფრო მეტი ინტენსივობით იმართება ღონისძიებები: მასტერკლასები, სემინარები, ვორქშოპები, საზაფხულო სკოლები, რომლებიც მთარგმნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ითვალისწინებენ. ასევე აღსანიშნავია თბილისის თარგმანის კვირეული, რომელიც 2009 წელს ჩატარდა.

პირველი მასტერკლასი 2007 წელს, ცნობილმა ქართველმა

მთარგმნელმა ვახუშტი კოტეტიშვილმა პოეზიის ახალგაზრდა მთარგმნელთა ჯგუფისთვის ჩაატარა. შედეგად გამოიცა წიგნი „მხატვრული თარგმანის მასტერკლასი“, რომელშიც მთარგმნელი თეორიული მოსაზრებებისა და საკუთარი პრაქტიკიდან მოხმობილი მაგალითების ანალიზის გვერდით, საკუთარ და მისი მასტერკლასის მონაწილეთა მიერ თარგმნილი პოეზიის ნიმუშებს გვთავაზობდა.

2009 წელს თბილისის მერიის ახალგაზრდული სამსახურისა და პირველი ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკა „Lib.ge“ -ს ორგანიზებით ჩატარებული „თბილისის თარგმანის კვირეულის“ ფარგლებში, მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული არაერთი ღონისძიება მოეწყო (თარგმნილი წიგნების გამოფენა-გაყიდვა, თარგმნილი პოეზიის საღამოები, დისკუსია მთარგმნელთა უფლებებზე და ა.შ.), მათ შორის, ორ მასტერკლასს მთარგმნელები - გიორგი ეკიზაშვილი და გიორგი ლობჯანიძე უძღვებოდნენ, რომლებზეც ახალგაზრდა კოლეგებისთვის მხატვრული თარგმანის პერიპეტივებზე ისაუბრეს.

2013 წელს გამომცემლობა „სიესტას“ ორგანიზებით დაიწყო მასტერკლასების კურსი პროზის თარგმანში, ესპანურენოვანი მთარგმნელის, ელზა ახვლედიანის, ხელმძღვანელობით.

საგულისხმოა, რომ მესამე წელია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ბრიტანეთის საბჭოს, ფრანგული ინსტიტუტისა და გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით მიმდინარეობს ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი, რომელშიც ქართველი მთარგმნელებიც იღებენ მონაწილეობას. ფორუმი ეხება როგორც ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ, ასევე უცხოური ლიტერატურის პოპულარიზაციას საქართველოში.

საგულისხმოა, რომ 2012 წელს საქართველომ ერთდროულად ორ საერთაშორისო საზაფხულო სკოლას უმასპინძლა.

პირველი მათგანი ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე. პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე ქართული ტექსტის თარგმნისთვის გამიზნული ლექციები, ვორქშოპები და სემინარები.

ორი კვირის განმავლობაში, საზაფხულო სკოლის მსმენელებთან მუშაობდნენ ცნობილი ქართველი და უცხოელი სპეციალისტები. 2013 წელს თარგმანის მეორე საერთაშორისო საზაფხულო სკოლაც ჩატარდა.

ასევე, 2011 წლიდან გოეთეს ინსტიტუტმა საქართველოში წამოიწყო და ატარებს ღონისძიებათა ციკლს, რომელსაც

ჰქვია „მთარგმნელობითი სახელოსნო ლიტერატურის მთარგმნელებისთვის“, რომელიც ლიტერატურის მთარგმნელთა გამოვლენას და მათ პროფესიონალიზაციას ისახავს მიზნად. წინა წლებში ასეთი ტიპის ღონისძიებები ბოშის ფონდისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. საუბარი იყო არა მხოლოდ გერმანულიდან ქართულ, არამედ ქართულიდან გერმანულ ენაზე მთარგმნელთათვის მოწყობილ ლიტერატურულ სახელოსნოზე. ეს თანამშრომლობა ისევ გრძელდება და ასეთი ღონისძიება წლევანდელ ივლისში დამწყებ მთარგმნელთათვის ჩატარდა<sup>5</sup>.

2013 წლის 25-26 იანვარს თბილისში საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, პროექტ „ნიგნის პლატფორმის“ ფარგლებში, ავტორებისა და მთარგმნელებისთვის გამართულ მესამე ვორქშოპს უმასპინძლა, სათაურით: „პატიოსანი თამაშის წესები და თანამშრომლობა: ინტელექტუალური საკუთრება, სამუშაო პირობები და თანამშრომლობის ღონისძიებები მწერლებისა და მხატვრული მთარგმნელებისთვის“. სპეციალური სტუმრები, დისკუსიის მონაწილეები და მოდერატორები გახლდათ: დენიელ ჰანი (დიდი ბრიტანეთი) – ბრიტანეთის მხატვრული თარგმანის ცენტრის დირექტორი, ავტორი, მთარგმნელი; ლამა ბაქრაძე (საქართველო) – ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი; მედეა შენგელია (საქართველო) – იურისტი, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის წარმომადგენელი; იანა გენოვა (ბულგარეთი) – ფონდ „Next Page“-ის წარმომადგენელი, პროექტ „ნიგნის პლატფორმის“ მენეჯერი. პროექტის ფარგლებში გაიმართა ადგილობრივი და უცხოელი მომხსენებლების პრეზენტაციები, ჯგუფური დისკუსიები და ჩატარდა პრაქტიკული სამუშაოები.

გამოიკვეთა პროექტის მონაწილეთა განსხვავებული მოსაზრებები: ზოგიერთ მთარგმნელს არასოდეს შექმნია კონტრაქტსა და გამომცემლობებთან ურთიერთობის პრობლემა, თუმცა სხვები იხსენებდნენ შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულებასთან, ანაზღაურებასა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებით უსიამოვნება შეხვდათ. როგორც აღმოჩნდა, კონტრაქტს საქართველოში ხშირად საკმაოდ მოკლე ვადით დებენ, პირობები და მონაცემები კი საკმაოდ ბუნდოვანია, რაც საბოლოოდ მრავალ პრობლემას ქმნის. მონაწილეებმა არსებული კონტრაქტების მაგალითზე სცადეს აღმოეჩინათ ის ხარვეზები, ღირსებები და ნაკლოვანებები, რაც გამომცემლებთან ურთიერთობას შეიძლება მოჰყვეს. მონაწილეებმამ ასევე, კომერციული რისკების, ანაზღაურების პოლიტიკისა და ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის ხარისხის შესახებ იმსჯელეს.

<sup>5</sup> [www.goethe.de/ins/ge/tif/wis/uef/kaindex.htm](http://www.goethe.de/ins/ge/tif/wis/uef/kaindex.htm)


# 7. 1991-2012 წლებში ქართულ ენაზე ნათარგმნი ლიტერატურის ზოგადსტატისტიკური მონაცემები და მათი ანალიზი

## 7.1. ზოგადი მიმოხილვა

არცერთი სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყება, მათ შორის არც სტატისტიკის ეროვნული სამსახური, არ ფლობს ერთიან ბაზას, სადაც 1991 წლიდან დღემდე საქართველოში გამოცემული თარგმნილი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია იქნება თავმოყრილი, რაც საკითხის კვლევას მნიშვნელოვნად ართულებს. აუცილებელია, მომავალში მეტი ყურადღება დაეთმოს ინფორმაციის თავმოყრას, რაც თარგმანის ტენდენციებს, განვითარებასა და არსებულ პრობლემებს თვალსაჩინოს გახდის და პერსპექტივების დასახვასაც გააადვილებს.

ამ ეტაპზე ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, გამომცემლობები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საელჩოები და უცხოური კულტურის ცენტრები.


*თარგმნილი წიგნების რაოდენობრივი შეფარდება გამოცემების საერთო რიცხვთან წლების მიხედვით:*



## 7.2. ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემებზე დაყრდნობით, იკვეთება ოთხი ძირითადი ენა, საიდანაც თარგმანები 1990-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე სრულდება. ესენია: ინგლისური, გერმანული ფრანგული და რუსული.

*ვერტიკალური ხაზი გვიჩვენებს გამოცემის წლებს, ხოლო ჰორიზონტალური – ოთხი ძირითადი ენიდან შესრულებული თარგმანების რაოდენობას.*



ასევე გვხვდება აზერბაიჯანული, სომხური, ლიტვური, ლატვიური, უკრაინული, უნგრული, ესპანური, იტალიური, შვედური, პოლონური, სპარსული, ლათინური, თურქული, ნორვეგიული, იაპონური ენებიდან შესრულებული თარგმანები. გარკვეულწილად, შეიძლება, ითქვას, რომ გერმანული და ფრანგული ენების ძირითად ენებად მიჩნევა პირობითია, რადგან ამ ენებიდან შესრულებული თარგმანები რაოდენობრივად ბევრად ჩამორჩება რუსული და ინგლისური ენებიდან ნათარგმნი ლიტერატურას. გერმანულ და ფრანგულ ენებს იტალიური და ესპანურიც ფეხდაფეხ მოსდევს.

1989 წელს საქართველოში 136 ნათარგმნი წიგნი გამოვიდა, მათგან 94-ის თარგმანი რუსულიდანაა შესრულებული. 1989-90 წლებში რუსული ენიდან ნათარგმნი წიგნების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობს. შეიძლება ითქვას, რომ წლების მანძილზე არსებული სქემა საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებშიც განაგრძობდა მუშაობას.

სურათი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოპოვების შემდეგ, 1991 წელს იცვლება. საზოგადოების საერთო განწყობისა და პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, ჩანს, რომ ხალხში არსებობდა მზადყოფნა და სურვილიც, მიეღო ლიტერატურა, რომელზეც მანამდე ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი. იგივე

რაოდენობის, 136 წიგნიდან 58 წიგნი ინგლისურიდანაა ნათარგმნი, რუსულიდან – 34. ასევე გრძელდება მუშაობა გერმანულ და ფრანგულენოვან ლიტერატურაზე.

თარგმნილი ლიტერატურის სიმცირის რაოდენობით 1993-96 წლები გამოირჩევა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში, საშუალოდ, წელიწადში 64 ნათარგმნი წიგნი გამოიცემოდა. ძირითად ენად ისევ რუსული რჩება. ცხადია, ქვეყანაში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ გავლენა ლიტერატურაზეც იქონია. მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობა საბჭოთა პერიოდში მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზე იყო დამოკიდებული და ხელოვნებისა და კულტურის სხვა მიმართულებების მსგავსად, სისტემის ნაწილს შეადგენდა.

ცხოვრების ახალმა წესმა, ახალმა პირობებმა ლიტერატორებიც და გამომცემლებიც სხვა გამოწვევების წინაშე დააყენა. თუ 90-იანი წლების ქართულ რეალობას გავიხსენებთ, მისასაღებელია ის ფაქტიც, რომ უმძიმესი ვითარების მიუხედავად, თარგმნა და გამოცემა მაინც გრძელდებოდა. ფაქტობრივად, არცერთი წელი არ ჩავარდნილა.

აღსანიშნავია ერთი ფრიად სპეციფიკური დეტალი: 1993-96 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა მხატვრული ლიტერატურის თარგმნა. ძირითადად, სამეცნიერო ლიტერატურა ითარგმნებოდა და გამოიცემოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებული სახსრები ხმარდებოდა წიგნებს, რომლებიც სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა. გამომცემლების, მკითხველებისა და მყიდველების მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, მხატვრულ ლიტერატურაზე მუშაობამ დროებით უკანა პლანზე გადაინაცვლა.

1997 წლიდან სურათი იცვლება. 1992 წლის შემდეგ, ნათარგმნი წიგნების საერთო რაოდენობა ისევ ცდება ასს. ამჯერად მთავარი ენა ინგლისურია. დომინანტობას ინგლისური ენა 1997 წლიდან დღემდე ინარჩუნებს. რუსული, უმეტესად, მეორე ადგილზე რჩება, თუმცა ცალკეულ წლებში მას ფრანგული და გერმანული ენები უსწრებენ.

თარგმნილი წიგნების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა 2005 წლიდან იწყება. მიზეზების ძიებას ისევ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან მივყავართ. საგამომცემლო ბიზნესის ფეხზე დადგომამ, სახელმწიფოს ხელშეწყობამ და კერძო და საჯარო სექტორის შეთანხმებულმა მუშაობამ საზოგადოებაში კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, სტატისტიკურ მონაცემებშიც პოვა ასახვა. პირველად, 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, 2005 წელს თარგმნილი წიგნების რაოდენობამ 200-ს გადააჭარბა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად, ქვეყანა სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე



დადგა, რამაც მსხვილი და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვნად დააზარალა. საგამომცემლო საქმიანობის პროგრესი კრიზისის გამო არ შეჩერებულა და შესაბამისად, თუ 2007 წელს 229 წიგნი ითარგმნა, 2008 წელს რაოდენობა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა 239-მდე.

2000-იანი წლების დასაწყისს უკავშირდება საავტორო უფლებების მოპოვების საკითხის გააქტიურებაც. ახლად ფეხადგმულმა ქართულმა გამომცემლობებმა, რომლებსაც აღნიშნული მიმართულებით არცთუ ისე სახარბიელო, მეტიც – სრულიად გაურკვეველი მემკვიდრეობა ერგოთ, საავტორო უფლებების მოსაპოვებლად სერიოზული მუშაობა დაიწყეს. შეიძლება ითქვას, რომ შედეგად გამომცემლობების პასუხისმგებლობა და შესაბამისად, თარგმნილი ლიტერატურის ხარისხიც გაიზარდა.

1991 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, ყველაზე მეტი ნათარგმნი წიგნი – 386 – 2011 წელს გამოიცა. 157 წიგნი ითარგმნა ინგლისური ენიდან, 67 რუსულიდან, 61 ფრანგულიდან, 37 კი - გერმანულიდან. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იმატა ესპანურიდან, იტალიურიდან, შვედურიდან და ნორვეგიულიდან თარგმნილი წიგნების რაოდენობამ, რასაც ცალკეული საელჩოების პროგრამებისა და გრანტების არსებობაც უწყობს ხელს.

**7.3. თარგმნილი ლიტერატურის საერთო რაოდენობიდან მხატვრული ლიტერატურის პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით** – აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულად ნათარგმნი ლიტერატურის ზოგადსტატისტიკური მონაცემების შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ერთადერთი სახელმწიფო (და ზოგადად, ერთადერთი) ორგანიზაცია, რომელიც მთელ ამ პერიოდში ნათარგმნი ლიტერატურის სტატისტიკას აწარმოებდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა გახლავთ. ყველა სხვა ორგანიზაცია, რომელიც კი ნათარგმნი წიგნებთან დაკავშირებული ამა თუ იმ ინფორმაციით (ამ ორგანიზაციათა სიაში გახლავთ საქართველოს ISBN ორგანიზაცია, სტატისტიკის დეპარტამენტი, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია და სხვადასხვა ქართული გამომცემლობა) დაინტერესებულა (და ამ დაინტერესებამ ძირითადად ბოლო წლებში იჩინა თავი), სწორედ ეროვნული ბიბლიოთეკის, როგორც ერთადერთი წყაროს მონაცემებით სარგებლობდნენ, რომელსაც მეტ-ნაკლებად ზუსტი ინფორმაციის მინოდება შეეძლო.

თუმცა ნაკლებსავარაუდოა, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაში არსებული სტატისტიკური მონაცემები ზედმინევენით ზუსტად აღწერდეს ემპირიულ სურათს,




იქიდან გამომდინარე, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ეროვნული ბიბლიოთეკისთვის ნაბეჭდი პროდუქციის უფასო სავალდებულო ეგზემპლარების გამოყოფის შესახებ კანონი გაუქმდა და დღემდე ბიბლიოთეკის ახალი გამოცემებით მომარაგება მხოლოდ ცალკეულ პირთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ მონოდებული ინფორმაციით, დაწესებულება ჯერ კიდევ 1990-იან წლებში გამოცემული ლიტერატურით ივსება და აქედან გამომდინარე, ამ ათწლეულის სტატისტიკური მონაცემები პერმანენტულად იცვლება. ასევე პირობითი და დროებითაა 2012 წლის მონაცემებიც, ვინაიდან 2012 წელს შემოსული გამოცემათა ეგზემპლარების აღნუსხვა 2013 წლის ბოლომდე მიმდინარეობდა და მაშასადამე, მონაცემები, სავარაუდოდ, შეიცვლება.

როგორც ვნახეთ, წიგნების საერთო რაოდენობასთან შედარებით, თარგმნილი ლიტერატურის ყველაზე მცირე მაჩვენებელი 1999 წელს ყოფილა, ხოლო ყველაზე მაღალი - 2011 წელს.

ასევე, გთავაზობთ 1991 წლიდან 2012 წლის ჩათვლით ქართულ ენაზე ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურის პროცენტულ მაჩვენებელს, თარგმნილი წიგნების საერთო რაოდენობასთან შეფარდებით. სტატისტიკური მონაცემი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და მომზადებულია UDC-ის ძირითადი განყოფილებების მონაცემთა შეჯერების საფუძველზე.

*ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურის მაჩვენებელი ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნების საერთო რაოდენობასთან შეფარდებით წლების მიხედვით.*



1991-92 წლებში საქართველოში ზოგადი სოციალური და მატერიალური ფონი უარესდება, თუმცა, შესაძლოა, საბჭოთა პერიოდის ინერციიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ საკმარაოდენობით გამოიციემა წიგნები, და მათ შორის თარგმნილი წიგნებიც. ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურის მაჩვენებელიც ორივე წელს საკმაოდ მაღალია – 63%, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ქვეყანაში მხატვრული ლიტერატურისა და მსოფლიო სიახლეების გაცნობის ინტერესი ჯერ კიდევ მდგრადია.

1993-2003 წლებში მკვეთრად იკლებს ზოგადად წიგნების გამოცემის ტენდენცია და თარგმნილი ლიტერატურის პროცენტული მაჩვენებელიც დაბლდება – 1997 წელს ეს კლების მაჩვენებელი პიკს აღწევს და ნათარგმნი ლიტერატურის მხოლოდ 26%-ია მხატვრული ტექსტი. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს 1999 წლის მაჩვენებელი (49%), რომელიც მომდევნო წლების ლიტერატურული აღმავლობისთვის თითქოს ერთგვარ წინაპირობად იქცა.

2004-2010 წლებში, ქვეყანაში სტაბილურობის მატებასთან ერთად, საგამომცემლო ბიზნესი კვლავ აღმავლობის გზაზე დგება და როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, მხატვრული ლიტერატურის თარგმნის მიმართაც მეტ ყურადღებას იჩენენ. ამ პერიოდში ჩვენთვის საინტერესო მონაცემი ჯერ კიდევ ვერ უტოლდება საბჭოთა ხანის მაჩვენებელს, მაგრამ პროგრესი უკვე თვალსაჩინოა.

2011 წელი საგამომცემლო საქმიანობის უპრეცედენტო წინსვლით გამოირჩევა. ამ წელს გამოიცა 3158 დასახელების წიგნი (შედარებისთვის, ეს დაახლოებით 2500-ით მეტია, ვიდრე 1996 წელს და 489-ით მეტი, ვიდრე წინა წელს), ამათგან 386 თარგმნილი გამოცემა გახლავთ, ხოლო თარგმნილ გამოცემათა 72% მხატვრული ლიტერატურაა. ეს რიცხვი აშკარად მიუთითებს მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციების მიმართ ქართველთა მზარდი დაინტერესების შესახებ. და ეს ტენდენცია ბოლო ორი წლის მანძილზე მტკიცედ ნარჩუნდება.

ალბათ, საინტერესო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ მხატვრული ლიტერატურა, ნათარგმნი გამოცემების დარგობრივი მაჩვენებლების მიხედვით, პროცენტულად თითქმის ყოველ წელს პირველ ადგილზე დგას, შემდეგი ადგილები კი სტაბილურად ეკუთვნის საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესახებ წიგნების თარგმანს.

## 8. თარგმანის სახელმწიფო პოლიტიკა

ქვეყნებში, სადაც საგამომცემლო ბიზნესს დიდი ხნის ისტორია აქვს და საქმიანობის სტაბილურ სფეროდ ითვლება, თარგმანის განვითარებისთვის სახელმწიფო პროგრამების არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. საქართველოში საგამომცემლო ბიზნესს სულ რაღაც თხუთმეტწლიანი ისტორია აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე, ხარისხიანი თარგმნილი ლიტერატურის მკითხველისთვის მიწოდება ჯერ კიდევ შეუძლებელია. გასათვალისწინებელია დამატებითი ფაქტორებიც: მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის საბჭოთა საქართველოში უამრავი წიგნი ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა, ცენზურის პირობებში ბევრი მნიშვნელოვანი ავტორის გამოცემა ვერ მოხერხდა. რამდენიმე ათეული წლის წინ გაჩენილ სიცარიელეს ქართველი მკითხველი ახლა ივსებს. გამომცემლები ხშირად წამგებიანად მიიჩნევენ მსოფლიოში ცნობილი, თუმცა ქართული საზოგადოებისთვის უცნობი ავტორების, ასევე ნაკლებად პოპულარული თანამედროვე უცხოელი მწერლების წიგნების საკუთარი ხარჯებით თარგმნასა და დაბეჭდვას. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სასურველია, ფინანსურად არამომგებიანი, თუმცა ლიტერატურული თვალსაზრისით ღირებული წიგნების გამოცემა, სხვა დონორებთან ერთად, სახელმწიფომაც დააფინანსოს და ამით ხელი შეუწყოს საზოგადოებას, რომ მუდმივად ინფორმირებული იყოს ლიტერატურული ტენდენციების შესახებ.

დღეს კულტურის პოლიტიკის მთავარ მიმართულების მიმცემად და გამტარებლად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ითვლება. კულტურის პოლიტიკის წარმართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათ შორის, ქალაქ თბილისის მერია ერთ-ერთი მთავარი აქტორია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თქმით, 1991-2004 წლებში სამინისტროში არასებობდა თარგმანების შესრულებისა და გამოცემის მხარდასაჭერი არცერთი პროგრამა, რაც, ქვეყანაში იმ დროს არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სირთულეებიდან გამომდინარე, ბუნებრივიცაა. შეუძლებელია, კულტურამ სხვა სფეროებისგან დამოუკიდებლად იარსებოს. განსაკუთრებით კულტურის სახელმწიფო პოლიტიკა სასურველთან ახლოს მდგომიც კი ვერაფრით იქნება.

კულტურის, კერძოდ კი, ლიტერატურის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა 2003 წლიდან შეიცვალა. ქვეყნაში გახორციელებული სხვა გარდაქმნების პარალელურად, გაიზარდა კულტურული პროგრამების ბიუჯეტი და მთელი რიგი საკითხებისადმი მიდგომაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუმცა 2004-2009 წლებში მაინც ვერ მოხერხდა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც ვითარებას რადიკალურად შეცვლიდა. სამინისტრო ხელს უწყობდა ქართველ გამომცემლებს წიგნების ნაწილის შექენითა და მათი ბიბლიოთეკებში გავრცელებით. 2010 წლიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება ქართული წიგნისა და ლიტერატურის პროგრამა, რომლის პრიორიტეტებს შორის არის როგორც უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის და გამოცემის ხელშეწყობა, ასევე ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნის და გამოცემის ხელშეწყობაც. პროგრამა ითვალისწინებს უცხოელი და ქართველი გამომცემლებისთვის ყოველწლიური ფორუმ-დიალოგის ორგანიზებას (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დონორებთან ერთად), წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე საქართველოს მონაწილეობის და ქართველი ავტორების ლიტერატურულ ფესტივალებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მხარდაჭერას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთარგმნელობითი საქმიანობის გააქტიურების პროცესში.

სამინისტროს ინფორმაციით, „წიგნისა და ლიტერატურის პროგრამის ბიუჯეტი 2010 წლიდან დღემდე ოთხჯერ გაიზარდა, რაც მიუთითებს პროგრამის განვითარების დინამიკაზე, მდგრადობასა და მნიშვნელობაზე.“ სამინისტროში ნათარგმნი ლიტერატურის რაოდენობის გაზრდის მნიშვნელობას ხაზს უსვამენ და ამბობენ, რომ ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება იგეგმება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის კულტურის განვითარებას ყველაზე დიდ ყურადღებას ქალაქ თბილისის მერია უთმობს, საქმიანობის გართო არელიდან და სათანადო ბიუჯეტიდან გამომდინარე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2009 წელს, მერიის ორგანიზებით, თარგმანის კვირეული ჩატარდა, თუმცა ღონისძიებას ერთჯერადი სახე ჰქონდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ პროექტი მხოლოდ ცალკეული ადამიანების ძალისხმევითა და მონდომების შედეგად განხორციელდა.

პროგრესის გათვალისწინებით, შეიძლება, სახელმწიფო პოლიტიკა დადებითად შეფასდეს, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ როგორც საგამომცემლო ბიზნესი, ასევე მთარგმნელობითი სკოლა ჯერაც სახელმწიფოს სერიოზულ დახმარებასა და თანადგომას საჭიროებს.

## 9. ეროვნული უმცირესობების ენებიდან თარგმნილი ლიტერატურა

საქართველო, თავისი არსებობის მანძილზე, მუდამ გამოირჩეოდა ეთნიკური მრავალფეროვნებით. ტოლერანტობა, განსხვავებული კულტურის მიღება და დაფასება ყოველთვის იყო ის, რითაც ქართველი ხალხი ამაცობდა. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ეთნიკურ ქართველებთან ერთად ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან ქართულ კულტურას. ბუნებრივია, რომ თითოეულმა მათგანმა ქართულ სინამდვილეში თავისებური ელემენტები შემოიტანა. ეროვნული უმცირესობების ენებიდან თარგმნის ტრადიციაც საუკუნეებს ითვლის.

ახალმა რეალობამ, რომლის წინაშეც საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოჩნდა, ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობაზეც მოახდინა გავლენა. მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ. 2002 წლის შედეგებით, პროცენტული მაჩვენებელი 16 %-მდე დაეცა (აღწერა არ ჩატარებულა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე). 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, საქართველო უამრავმა ბერძენმა, ებრაელმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა დატოვა. განსაკუთრებით ინტენსიური სახე მიიღო სლავების ემიგრაციამ.

2002 წლის მონაცემებით, ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას აზერბაიჯანელები წარმოადგენენ. ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, 1989-91 წლებში აზერბაიჯანული ენიდან არცერთი წიგნი არ თარგმნილა, 1992-2011 წლებში კი სულ 15 წიგნი ითარგმნა.

1989-2011 წლებში სომხურიდან ნათარგმნია სულ 11 წიგნი. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე სომხურიდან და აზერბაიჯანულიდან ნათარგმნი წიგნების რაოდენობა არც შესამჩნევად იკლებს და არც იმატებს. თუ ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა ევროპული ენებიდან ქართულად თარგმნილ ლიტერატურაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, ფაქტია, რომ ეროვნული უმცირესობების ენებიდან თარგმნილი ლიტერატურის რაოდენობა არ გაზრდილა.

მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს:

1. მკითხველის ინტერესი სომხური და აზერბაიჯანული ენებიდან თარგმნილი ლიტერატურისადმი ნაკლებია და გამომცემლობები წიგნის მომზადებასა და დაბეჭდვას ნამგებიანად თვლიან.
2. საქართველოში არ ხდება აღნიშნული ქვეყნების კულტურის პოპულარიზაცია, რაც, ერთი მხრივ, მათი საელჩოების პასიურობაზეც მიუთითებს.
3. სალიტერატურო სომხური და აზერბაიჯანული ენები მაღალ დონეზე არც ისე ბევრმა ადამიანმა იცის, რაც ხარისხიანი თარგმანის მომზადებას ართულებს. საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები განათლებას, ძირითადად, რუსულ ენაზე იღებენ, ბევრმა მათგანმა ქართული საერთოდ არ იცის, ქართველებიდან კი ძალიან ცოტა გამოთქვამს აღნიშნული ენების შესწავლის სურვილს.

აღსანიშნავია „კავკასიური სახლის“ აქტიური მუშაობა ეროვნული უმცირესობების ენების პოპულარიზაციის მიმართულებით. „კავკასიური სახლის“ მიერ სამ (ქართულ-სომხურ და აზერბაიჯანულ) ენაზე გამოცემული საიათნოვას ლექსების კრებული არა მხოლოდ კულტურული თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, არამედ კავკასიური ერთიანობისა და მეგობრობის იდეას ემსახურება.

ბოლო წლებში შედარებით გააქტიურდა აზერბაიჯანის საელჩო, რომელიც აზერბაიჯანულ კერძო კომპანიებთან ერთად, ცალკეულ კულტურულ პროექტებს აფინანსებს. 2013 წელს მირზა ფათალი ახუნდზადეს პიესა „მუსიე ჟორდან“ აზერბაიჯანის საელჩოსა და კომპანია „სოკარის“ მხარდაჭერით გამოიცა (გამომცემლობა „ინტელექტი“, მთარგმნელი ოქტაი ქაზუმოვი).

ცხადია, შეცდომა იქნება რუსულის, როგორც ეროვნული უმცირესობის ენის განხილვა, რადგან ისევე როგორც სხვა საბჭოთა ქვეყნებშიც, რუსული ენა საქართველოშიც წლების მანძილზე იკავებდა დომინანტურ პოზიციას. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ქართული, როგორც მშობლიური და სახელმწიფო ენა, არასოდეს ჩანაცვლებულა რუსულით. რუსული ენიდან თარგმნილი ლიტერატურის სტატისტიკის შესახებ წინა თავში უკვე ვისაუბრეთ.

შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული უმცირესობების ენებიდან თარგმნის მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესებაა საჭირო, რაც პროცესში როგორც გამომცემლობების, მთარგმნელობითი და სამეცნიერო წრეების, ასევე საელჩოებისა და კერძო კომპანიების ჩართვას მოითხოვს.

## 10. უცხოური ცენტრების, საელჩოებისა და ფონდების ხელშეწყობით თარგმნილი ლიტერატურა

საქართველო ჯერ კიდევ იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც არამდგრადი ეკონომიკა საგამომცემლო ბიზნესს განსაკუთრებული სისწრაფით განვითარების საშუალებას არ აძლევს, ხოლო მსოფლიო ლიტერატურის განვითარებასა და მკითხველის ცნობიერებას და გემოვნებას შორის აცდენა რამდენიმე ათეული წელია. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე გამოცემულმა თარგმნილმა წიგნებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებისა და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის დაახლოებაში.

როგორც გამომცემლები აღნიშნავენ, ქართველი მკითხველისთვის უცხოები უცხოელი ავტორების წიგნების გამოცემა ჯერ კიდევ გარკვეულ ფინანსურ რისკებს უკავშირდება. შესაბამისად, გრანტები, რომლებსაც გამომცემლობები უცხოური კულტურის ცენტრებისგან, საელჩოებისა და ფონდებისგან იღებენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში მოქმედი რამდენიმე უცხოური ორგანიზაცია აქტიურად ეწევა თავისი ქვეყნის კულტურის პოპულარიზაციას. ცხადია, მსგავსი პროექტები სარგებლიანია როგორც გრანტის მიმღები გამომცემლობისთვის ან მთარგმნელისთვის, ასევე გრანტის გამცემისთვის.

„მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ გოეთეს ინსტიტუტის პროგრამებს შორის ერთ-ერთი უძველესია. პროგრამის მიზანია, გერმანულენოვანი ლიტერატურის სხვა ენებზე გამოცემას შეუწყოს ხელი, არაგერმანულენოვანი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადოს იგი. პროგრამის ფარგლებში გამოიცემა ბელეტრისტიკის, სამეცნიერო და დარგობრივი ლიტერატურის, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის შერჩეული ნიმუშები. როგორც გოეთეს ინსტიტუტში განმარტავენ, პროგრამა ემსახურება კულტურულ-პოლიტიკურ მიზნებს და კულტურისა და განათლების სფეროებში გერმანიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

„მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ საქართველოში 1999 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს. პროგრამის ფარგლებში გამოიცა 33 წიგნი (მათ შორის, გოეთე, გიუნტერ გრასი, ჰერმან ჰესე, პატრიკ ზიუსკინდი, ჰერტა მიულერი და სხვები), 7 კი



გამოსაცემად მზადდება. პროგრამა, ძირითადად, წიგნების მცირე ტირაჟით გამოცემას ითვალისწინებს და უმეტეს შემთხვევაში ფარავს არა მთლიან ხარჯებს, არამედ მთარგმნელთა ჰონორარის ნაწილს.

2011 წლიდან გოეთეს ინსტიტუტმა ახალი პროექტის, „მთარგმნელობითი სახელოსნო ლიტერატურის მთარგმნელებისთვის“ განხორციელება დაიწყო (ამის შესახებ იხილეთ 4.2. პარაგრაფი).

ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციაზე აქტიურად ზრუნავს დიუმას ცენტრი. მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში 1998 წლიდან 2012 წლის ჩათვლით 138 თარგმანი გამოიცა. თუ 1998 წელს ცენტრმა მხოლოდ ერთი ახალი წიგნი მიაწოდა, 2000 წელს წიგნების რაოდენობამ 10-ს, 2011 წელს კი 20-ს მიაღწია. როგორც დიუმას ცენტრის წარმომადგენლები ამბობენ, რამდენიმე წიგნზე ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა.

განსაკუთრებით საგულისხმოა სკანდინავიის ქვეყნების საელჩოებისა და სხვა ორგანიზაციების გააქტიურება. შვედებისა და ნორვეგიელების დაფინანსებით ბოლო წლებში როგორც კლასიკოსი მწერლების, ასევე თანამედროვე ავტორების წიგნები გამოიცა ქართულ ენაზე. სკანდინავიური ენებიდან თარგმნილი ლიტერატურის სიმრავლით ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა გამოირჩევა.

აღნიშვნის ღირსია ამერიკის შეერთებული შტატების წიგნის თარგმნის პროგრამა, ასევე ირანისა და აზერბაიჯანის საელჩოს აქტივობები, რაც, ძირითადად, პროგრამულ ხასიათს არ ატარებს და ცალკეული პროექტების მხარდაჭერით შემოიფარგლება.



## 11. გამომცემლობების პიარ და მარკეტინგული აქტივობები თარგმნილი ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით

შეიძლება, ბევრმა თქვას, რომ ლიტერატურას არ სჭირდება რეკლამა, მითუმეტეს, ხარისხიან ლიტერატურას და კარგი წიგნი და მისი მკითხველი ერთმანეთის პოვნას ყოველთვის მოახერხებენ. სინამდვილეში დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა ყველაფერს ცვლის. კარგად დაგეგმილი კამპანიები, თუ შემთხვევითი მოვლენები, რომლებსაც პუბლიკის ინტერესი მოჰყვება, მნიშვნელოვნად ზრდის წიგნებისა და ავტორების პოპულარობას, სწორად დაგეგმილი მედია სტრატეგია კი, რიგ შემთხვევებში, თავად ლიტერატურის ხარისხზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის ან მარკეტინგის მენეჯერები თითქმის ყველა ქართულ გამომცემლობას ჰყავს. ისინი სხვადასხვა აპრობირებული თუ ორიგინალური მეთოდის გამოყენებით ცდილობენ, საზოგადოების ყურადღება ამა თუ იმ წიგნისკენ მიმართონ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სერიებად გამოცემული ლიტერატურა, რაც შესანიშნავი მარკეტინგული გათვლაა. შესაძლოა, ერთ სერიაში გამოცემულ წიგნებს კონცეპტუალურად არაფერი ჰქონდეთ საერთო, მაგრამ გამომცემლები მაინც ახერხებენ მათ საერთო ქუდქვეშ მოქცევას.

სერიები ქართულ ბაზარზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ეს, ერთი მხრივ, ადამიანის შემგროვებლური ბუნებითაა განპირობებული. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ყველა ოჯახისთვის სავალდებულოდაც კი ითვლებოდა მაშინდელი სერიების: „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“, „ქართული მწერლობის“, „მსოფლიო ლიტერატურის“, „საბავშვო მწერლობის“ და სხვათა ქონა.

დღეს ქართული წიგნის მალაზიების თაროებზე სერიების მრავალფეროვანი არჩევანია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თარგმნილია: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ „მსოფლიო კლასიკა“, „დიოგენეს“, „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ და „ამერიკელები“, „ინტელექტის“ „ნობელიანტები“, „პალიტრა L“-ის „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, „არტანუჯის“

„ფეხბურთელების ავტობიოგრაფიები“ და ა.შ. მართალია, მათი გაყიდვების რაოდენობას საბჭოთა სერიებისას ვერ შევადარებთ, მაგრამ მკითხველთა ფართო წრეში ახალი სერიების პოპულარობა დღითიდღე იზრდება.

მიუხედავად ამისა, წიგნების სერიებად გამოცემას არ ემხრობა გამომცემლობა „სიესტას“ ხელმძღვანელობა. „სიესტას“ პოლიტიკაა, თითოეულ ავტორსა და წიგნს ინდივიდუალურად მიუდგეს, არჩეული კურსის შეცვლას გამომცემლობა არც მომავალში აპირებს.

ქართველი გამომცემლები, წიგნის პოპულარიზაციის მიზნით, თითქმის ყოველთვის მართავენ ახლადგამოცემული თარგმანის პრეზენტაციას და ღონისძიების გაშუქებას ტელევიზიის, რადიოსა და ბეჭდური მედიის საშუალებით უზრუნველყოფენ. დიდი ყურადღება ეთმობა სოციალური ქსელების ათვისებას, რომელიც დღეს ტელევიზიაზე გაცილებით ეფექტურ გზადაც კი შეიძლება ჩაითვალოს რეკლამირებისათვის.

გამომცემლობა „დიოგენემ“ „დიოგენეს ბიბლიოთეკის“ პოპულარიზაციის მიზნით საინტერესო ხერხს მიმართა. სერიის თითოეულ წიგნს მკითხველს რომელიმე ცნობილი ქართველი მწერალი აცნობს. როგორც ჩანს, საზოგადოებაზე მისი რჩეული ავტორების აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, რადგან მათ მიერ კონკრეტული წიგნის მედიასაშუალებით, სოციალურ ქსელში თუ პრეზენტაციაზე წარდგენა გაყიდვების რაოდენობაზე მაშინვე აისახება.

## 12. რეკომენდაციები

ჩვენ მიერ წარმოებული კვლევიდან გამომდინარე, რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა, რომელთა მოგვარებასაც, ჩვენი აზრით, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, საქართველოში მხატვრული თარგმანის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის:

**12.1. მხატვრული თარგმანის შესახებ არსებული ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და კვლევა** – უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიგვაჩნია, შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა იზრუნონ იმაზე, რომ არსებული უწყებების ბაზაზე სრულად აღინუსხოს ყველა ის სტატისტიკური მონაცემი და ზოგადი ინფორმაცია ლიტერატურული თარგმანის შესახებ, რომელთა არსებობაც ამ დარგის შემდგომის კვლევისთვის აუცილებელია; ან შეიქმნას ახალი უწყება, რომელიც არა მხოლოდ მიმდინარე მთარგმნელობით საქმიანობას აღნუსხავს, არამედ, სასურველია, თუ ამ დარგის შესახებ წარსულში არსებული მონაცემების შეგროვება და სისტემატიზაცია დაევალება.

ასევე უაღრესად საშურ საქმედ მიგვაჩნია, შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მკვლევრებს საშუალებას მოგვცემს, კვლევისთვის საჭირო ყველა მონაცემი შესაბამისი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებისაგან დაუბრკოლებლად და განსაზღვრულ ვადებში, ოფიციალურ დონეზე და არა პირადი კონტაქტების ხარჯზე მივიღოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ ჩატარებული ეს კონკრეტული კვლევა, შეიძლება ითქვას, პირველი ნაბიჯია ქართული თარგმანის ზოგადი სურათის ასახვის თვალსაზრისით, თუმცა, რასაკვირველია, იგი სრულყოფილად ვერ წარმოგვიდგენს არსებულ რეალობას და გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ დარგში შემდგომი კვლევების წარმოება;

**12.2. მხატვრული თარგმანის ორგანიზებული სახელმწიფო პროგრამის შემუშავება** – აუცილებელია შემუშავდეს მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობილი, კარგად გაანალიზებული და დეტალურად გათვლილი სახელმწიფო პროგრამა მხატვრული თარგმანის განვითარების კუთხით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება იმ დიდი ხარვეზის შევსება, რომელიც ქართულ ლიტერატურას გააჩნია - ვგულისხმობთ იმ მსოფლიო დონის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებების თარგმანის

არარსებობას ქართულ ენაზე, რომელთა თარგმნაც ყველა კულტურული სახელმწიფოს ღირსების საქმეა. ეს საშუალებას მოგვცემდა, ქართულ ენაზე გვექონოდა ის ღირებული და ფასეული ლიტერატურა (მაგ. მსოფლიო პოეზიის მნიშვნელოვანი ძეგლები), რომელიც გარკვეული მოსაზრებებით, კერძო გამომცემლობათა ყურადღების მიღმა რჩება. ამ მიზნით, ალბათ, უმჯობესი იქნება, სახელმწიფომ მეტი ძალისხმევით სცადოს სხვადასხვა საერთაშორისო კულტურული ფონდების და წარმომადგენლობების მოზიდვა, რომლებიც მსგავს პროექტებს დააფინანსებენ. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ თავად სახელმწიფო ბიუჯეტმაც, რომელიც დღესდღეობით ამ სფეროს დაფინანსებაზე მიზერულ თანხებს ხარჯავს, მეტად უნდა იზრუნოს ქართული თარგმანის განვითარების საკითხზე.

სახელმწიფოს მიერ ქართულ ენაზე თარგმანის თუნდაც ნაწილობრივი სუბსიდირება ხელს შეუწყობდა მთარგმნელთა უფლებების დაცვასაც, ვინაიდან კონკურენციის პირობებში, კერძო საგამომცემლო სახლები იძულებული გახდებოდნენ, ის მწირი პირობები გაეუმჯობესებინათ, რომლებსაც დღესდღეობით თუნდაც საუკეთესო მხატვრულ მთარგმნელებს სთავაზობენ.

ამასთანავე, ალბათ, სახელმწიფომაც უნდა ითავოს, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან უფრო ინტენსიური ლიტერატურული ურთიერთობები დამყარდეს. ამ მხრივ, წინ გადადგმული ნაბიჯია ის, რომ განათლების სამინისტრომ სპეციალური პროგრამები შეიმუშავა, რომ საქართველოში არსებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე, შეღავათიან პირობებში მიიღონ, რაც სამომავლოდ, ქართულ კულტურაში მათ მეტ ინტერაქციას გამოიწვევს. თუმცა საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებები, მით უმეტეს, კონფლიქტის რეგიონებში, სადაც მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობები მნიშვნელოვნად წაადგებოდა ერთა შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებას.

**12.3. მთარგმნელთა ახალი თაობების აღზრდა – მიზეზთა გამო, მხატვრული მთარგმნელობა ახალი თაობისთვის სულ უფრო ნაკლებად სასურველი საქმიანობა ხდება.** იმის გარდა, რომ ეს სფერო ფინანსური თვალსაზრისით ნაკლებად მომგებიანია, ეს, ალბათ, იმისი ბრალიცაა, რომ მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული სოციალური გარემო საკმაოდ სტატიკურია და არ ახასიათებს ის დინამიზმი, რაც ახალგაზრდა მთარგმნელთა მოსაზიდადაა საჭირო. სავარაუდოდ, უმაღლესმა სასწავლებლებმა უფრო მიმზიდველი, პრაქტიკაზე დამყარებული სწავლისა

და მუშაობის სისტემა უნდა შექმნას, რომელიც ამ სფეროში ახალგაზრდების უფრო ინტენსიურ ჩართვას განაპირობებს; ასევე, მათ დაინტერესებას თარგმანმცოდნეობითა და თარგმანის კრიტიკით, რომლებიც, შეიძლება ითქვას, დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების ნაკლებად განვითარებული დარგებია.

**12.4. მთარგმნელთა გაერთიანებების ჩამოყალიბება** – დღესდღეობით არ არსებობს მთარგმნელთა არც ერთი ოფიციალური პროფესიული გაერთიანება, კავშირი, კოლეგია, ასოციაცია თუ სხვა, რომელიც მთარგმნელთა უფლებებს დაიცავდა და მათ ინფორმაციისა თუ გამოცდილების გაცვლის მეტ შესაძლებლობას მისცემდა.

ამგვარი გაერთიანების ჩამოყალიბება საშური საქმეა და არაერთხელ დამდგარა დღის წესრიგში, თუმცაღა შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ფინანსების არარსებობის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. არადა, მისი არსებობა სულ უფრო აქტუალური ხდება.

**12.5. ლიტერატურული აგენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბება** – ასევე სამწუხაროა, რომ საქართველოში, პრაქტიკულად, არ არსებობს მსოფლიოში აპრობირებული ლიტერატურული აგენტის ინსტიტუტი, რომელიც მთარგმნელებს დამკვეთებთან ურთიერთობას გაუადვილებდა.

**12.6 მთარგმნელობითი პერიოდიკის დაარსება** – საშური საქმეა შეიქმნას პერიოდიკა, რომელიც მხოლოდ თარგმნილი ნაწარმოებების საზოგადოებისთვის გაცნობის საქმეს მოემსახურება. აღსანიშნავია, რომ ამპროფილის მქონე ჟურნალმა „საუნჯემ“ (გამოცემა 1989 წელს შეწყდა) ოდესღაც დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ამავე საქმეს ემსახურებოდა ჟურნალი „ახალი თარგმანები“, რომელიც ფინანსური პრობლემების გამო, უსისტემოდ გამოიცემოდა და ბოლო ნომერი 2009 წელს დაიბეჭდა. ამჯერად კი ლიტერატურულ ბაზარზე ამგვარი პერიოდიკის ნიშა ცარიელია და შევსებას საჭიროებს.

# კომენტარი კვლევის „ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა“ შესახებ

გაგა ლომიძე<sup>1</sup>

დიგიტალიზაციის ხანაში, რომელიც შეგროვებულ ინფორმაციის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანაზე ორიენტირებული, ჩვენთვის ჯერ ისევ აქტუალურია მონაცემების მოგროვების ეტაპი. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ამისთვის ბევრი ობიექტური გარემოება არსებობდა. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ მონაცემთა ბაზის - ამ შემთხვევაში კი ქართულენოვანი ლიტერატურის უცხო ენებზე და უცხო ენებიდან ქართულზე თარგმანის მონაცემების შეგროვება ძალიან საშური და აუცილებელი საქმეა. გასაგებია, რომ არცთუ მარტივი ამოცანაა, ერთი მხრივ, ბოლო 30 წლის მანძილზე, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში გაბნეული ქართულენოვანი ლიტერატურის უცხოენოვანი თარგმანების სრული ჩამონათვალის გაკეთება და, მეორე მხრივ, უცხოენოვანი ლიტერატურის ქართული თარგმანების სრული ნუსხის შედგენა. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს აუცილებელი საქმეა და ოდესმე უნდა დავიწყოთ. რა თქმა უნდა, მსგავს პროცესებს წინ უსწრებს ხოლმე კვლევა და ანალიზი.

სალომე ბენიძის და ანა კოპალიანის კვლევა მთარგმნელობით საქმის მდგომარეობის შესახებ საქართველოში ერთ-ერთი პირველი შეძლებისდაგვარად სრულყოფილი კვლევის მცდელობაა ამ სფეროში. საქართველოში არ არსებობს მონაცემები, ერთად თავმოყრილი, იმის შესახებ, თუ ქართველი ავტორების მიერ დანერგილი რა წიგნი გამოიცა უცხო ენაზე საქართველოში ან უცხო ენიდან ქართულად რა ითარგმნა: პირველი მონაცემები და ანალიზი წავიკითხე დაახლოებით ორიოდე წლის წინ, როდესაც ქართული ლიტერატურის აგენტმა, რახელ გრაცფელდმა გააკეთა დაახლოებით მსგავსი კვლევა, რომელიც მოიცავდა თარგმანებს 2000 წლიდან

<sup>1</sup> გაგა ლომიძე არის კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის პრეზიდენტი და კომპარატივისტული ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის წევრი; ასევე, არაერთი კრიტიკული წერილის, სამეცნიერო ნაშრომის და წიგნების ავტორი. ასწავლის ლიტერატურის თეორიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მუშაობს გამომცემლობა „ნიესტას“ ლიტერატურულ საბჭოში.

2012 წლის ჩათვლით. ამიტომაც მნიშვნელოვანია კვლევა, რომელიც სალომე ზენიძემ და ანა კოპალიანიმა ჩაატარეს და, პრაქტიკულად, საკმაოდ დიდ ინფორმაციას მოუყარეს თავი; ამავე დროს, შეეცადნენ რეკომენდაციები და ანალიზიც წარმოედგინათ თავიანთ კვლევაში. ბუნებრივია, ამგვარი ცარიელი ნიშის შევსებისას ყოველთვის ჩნდება შენიშვნებიც, თუმცა ამ შენიშვნებთან შედარებით, ჩატარებული სამუშაო ბევრად მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას, პირველი ნაბიჯია ამ ტიპის შემდგომი კვლევების ჩატარების გზაზე.

აქვე, რამდენიმე საკითხის დაზუსტებას საჭიროდ მივიჩნევთ.

მაგალითად, კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოში არის “მწირი, უსისტემო და უხარისხო თარგმანის კრიტიკა”. ეს შენიშვნა სრულიად მისაღებია, მაგრამ ამ მოვლენის მიზეზი რამდენიმეა. ჯერ ერთი, ამ საკითხის სპეციალისტი ბევრი არ გვყავს და ვინც ამ საქმის სპეციალისტია, ის სხვა საქმითაა დაკავებული. მათი დაინტერესებისთვის სხვადასხვა ტიპის მოტივაციაა საჭირო. ამასთანავე, აქამდე არსებული ლიტერატურული გამოცემა, რომელშიც შეიძლებოდა მსგავსი კრიტიკული პუბლიკაცია დაბეჭდილიყო, თითქმის არ არსებობდა. ახლა ამ მხრივ ოდნავ გამოსწორდა მდგომარეობა. ამ მხრივ, თუნდაც განახლებული “არილის” ხსენებაც საკმარისია. მაშასადამე, თითოეული პრობლემა ჯაჭვურადაა დაკავშირებული პრობლემების წყებასთან, რომლებიც თანდათანობით უნდა მოგვარდეს.

კვლევაში ნათქვამია, რომ საბჭოთა პერიოდში მთარგმნელთა კოლეგია ზრუნავდა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნაზე ქართულ ენაზე და პირიქით, ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაზე მსოფლიოში. არ ვიცი, რამდენად საჭიროა ამგვარი “კოლეგიის” არსებობა, რაც შეიძლება სახელმწიფოსთვის დამატებით ტვირთად იქცეს. ალბათ აჯობებს რომელიმე არსებულმა ორგანიზაციამ ან სამინისტრომ შეითავსოს მსგავსი ფუნქცია - რომელი წიგნი/ტექსტი ითარგმნოს.

კვლევაში ნათქვამია: “საგულისხმოა, რომ თუკი დღესდღეობით თარგმნილი ლიტერატურის ტირაჟი მაქსიმუმ 3000-ია, „მთარგმნელთა კოლეგია“, როგორც წესი, 40 000-60 000 ეგზემპლარს გამოსცემდა და ჩვეულებრივ მთელი ტირაჟი იყიდებოდა ხოლმე” - ეს არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან იმ დროს განსხვავებული სისტემა იყო და ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით უკეთესი გახლდათ, ვიდრე დღეს. მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ ეს “მრავალათასიანი”



ტირაჟი მაინც პირობითი იყო, რადგან იმ დროს “იძულებითი” გავრცელების სხვადასხვა მექანიზმი არსებობდა და რაც არ ვრცელდებოდა, საბაზრო ეკონომიკის არარსებობის პირობებში, მაინც არ აკოტრებდა გამომცემელს, რადგან კონკურენციის ცნება არ არსებობდა.

საგულისხმოდ გვეჩვენება კვლევაში აღნიშნული ფაქტი, რომ საკმაოდ საინტერესო და დღევანდელისაგან განსხვავებული იყო მთარგმნელთა შერჩევის პრინციპები საბჭოთა ხანაში - ორიგინალი ენის ცოდნაზე მეტად ყურადღება ექცეოდა მთარგმნელის ლიტერატურულ შესაძლებლობებსა და მშობლიური ენის გამომსახველობითი ხერხების სრულყოფილ ფლობას, ყოველივე ეს, რასაკვირველია, თავისუფალი თარგმანის პრინციპის დომინირების ბაზას ქმნიდა. ამ მხრივ, მთარგმნელების მიმართ, ჩემი აზრით, დღესაც უნდა იყოს მოთხოვნა. ისინი კარგად უნდა ფლობდნენ უცხო ენას, რომლიდანაც თარგმნიან, მაგრამ, ასევე, მწერლისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი უნარი უნდა გააჩნდეთ. პოეზიის შემთხვევაში კი, საქმე უფრო სერიოზულადაა და მეტი მოთხოვნაა, რადგანაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რომ არაპოეტმა თარგმნოს პოეტური ტექსტი. ამ შემთხვევაში ენის ცოდნა სრულიად არასაკმარისი მოთხოვნაა.

რაც შეეხება მთარგმნელთა დაინტერესებას, საჭიროა მეტი ინფორმირებულობა სხვადასხვა პროგრამის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს მთარგმნელის გამგზავრებას სტიპენდიით, ისევე როგორც თარგმანის დაფინანსებას. მხოლოდ სამწუხაროა, რომ სულ რამდენიმე ქვეყნის საერთაშორისო ფონდი ან სამინისტროა, რომელიც ამ საქმით - თავიანთი ენიდან უცხო ენებზე ლიტერატურის თარგმნითა და ინტერესებული - მაგალითად, თურქეთი, ავსტრია, ავსტრალია, ირლანდია, შოტლანდია, უელსი და ა.შ.

კვლევაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ საქართველოში არ არსებობს არც ერთი ორგანიზაცია, პროფესიული კავშირი, კოლეგია, გაერთიანება, რომელიც დაიცავდა მთარგმნელთა უფლებებსა და ინტერესებს; ისევე როგორც არ არსებობს ლიტერატურული სააგენტო - თუკი არ ჩავთვლით კერძო ბირის - რახელ გრაცფელდის კეთილ ნებას და ინიციატივას. თარგმანებთან დაკავშირებით ისიც საგულისხმოა, რომ კვლევაში აღნიშნულია თარგმანის სახელმწიფო პოლიტიკის უქონლობა. ამ შემთხვევაში მსგავსი ფუნქცია უნდა იკისროს კულტურის სამინისტრომ ან დედაქალაქის/ქალაქების მუნიციპალიტეტებ/მა თუ საბანკო/ბიზნეს სექტორმა. კვლევაში ნათქვამია, რომ საქართველოში არ არსებობს მსოფლიო მნიშვნელობის არაერთი



ტექსტის ქართული თარგმანი. მაგალითად დასახელებულია მარსელ პრუსტის და სხვათა პროზა თუ პოეზია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ დედნის ენის ქვეყანა უნდა დაინტერესდეს და მის წარმომადგენლობას უნდა მიმართოს გამომცემლობამ, რომ ეს წიგნები ქართულ ენაზეც ითარგმნოს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როცა საუბარი ქართული კლასიკური ლიტერატურის თარგმანზეა (იგულისხმება ძველი ტექსტები და არა თანამედროვე ავტორების ნაწარმოებები), უკვე ქართული მხარე უნდა გახდეს ამ საქმის ინიციატორი.

კვლევაში ნათქვამია: “გამომცემლობა „ინტელექტი“ გამოსცემს ნობელის პრემიის ლაურეატი მწერლების სერიას, რაც საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს, შესაბამისად, გამომცემლობის ძირითადი რესურსი სწორედ აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებას ხმარდება. პროექტის ფარგლებში ითარგმნება და გამოიცემა სხვადასხვა პერიოდის, ჟანრისა და ხარისხის ნაწარმოებები, რაც თავიდანვე გამორიცხავს წიგნის გაყიდვადობაზე ორიენტირებულობას.” - არადა, სერიის არსებობა პირიქით გაყიდვებზე ორიენტირებას ნიშნავს და ჟანრული სხვაობა მეორეხარისხოვანია ამ შემთხვევაში. ამის დასტურია სერიის ყველა პრეცედენტი საქართველოში. ანუ ეს ბევრად უფრო კომერციული პროექტია, ვიდრე ცდილობენ დაგვარწმუნონ. მაგალითად, “პალიტრა ელის” პროექტი 50 წიგნი სრულიად კომერციული იყო, მარტო დასახელების წყალობით და იქ წიგნების/პროექტის შინაარსზე არაფერი იყო ორიენტირებული, არჩევდნენ ძირითადად აქამდე გამოცემულ, ძველ თარგმანებს ან ახლებს შუალედური ენიდან ან იშვიათად ორიგინალის ენიდან. ავტორებსაც ასევე ბრმად არჩევდნენ, როგორც ჩანს და ამ პროექტის მაგალითზე ორიოდ სიტყვა საინტერესო იქნებოდა.

კვლევაში მართებულადაა აღნიშნული, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა შეიმუშავონ უფრო მიმზიდველი, პრაქტიკაზე დამყარებული სწავლისა და მუშაობის სისტემა, რომელიც განაპირობებს ახალგაზრდების უფრო ინტენსიურ ჩართვას ამ სფეროში.” ამ მიზნით შეიძლება მათი პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულად საშური იქნებოდა ისეთი პერიოდული გამოცემების არსებობა, რომლებიც თარგმანების გამოქვეყნებაზე იქნებოდა ორიენტირებული. ნაშრომში ამ ტიპის გამოცემებიდან ნახსენებია საბჭოთა პერიოდში გამოშვებული ჟურნალი “საუნჯე”, რომელმაც მართლაც დიდი როლი შეასრულა ამ ვაკუუმის ამოვსების საქმეში - მეტ-ნაკლები წარმატებით. ასეთივე დანიშნულება

ჰქონდა ჟურნალ "ზომლს", რომელიც ძირითადად ასევე თარგმანების გამოქვეყნებაზე იყო ორიენტირებული. მაგრამ დღეს ეს საშუალებაც კი არ არსებობს. ამ მხრივ, სასურველია თუნდაც იმავე კულტურის სამინისტრომ გამოიჩინოს ინიციატივა ან სხვათა ინიციატივით, მხარი დაუჭიროს ამ ტიპის ჟურნალის გამოცემას. ამით ეს პრობლემა მნიშვნელოვანწილად მოგვარდება.

კვლევაში ეროვნული უმცირესობების ლიტერატურის თარგმანზეცაა საუბარი და ნათქვამია: "სახელმწიფომ უნდა ითავოს, რათა უფრო ინტენსიური ლიტერატურული ურთიერთობები დამყარდეს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან" და იქვე ასახელებენ განათლების სამინისტროს პროგრამას, რომელიც ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების და ქართულ კულტურაში ინტეგრაციას ითვალისწინებს. ეს თავისთავად კარგი საქმეა. თან განსახილველ - თარგმანის თემატთან პერსპექტივაში დაკავშირებულად შეიძლება განვიხილოთ და შეიძლება არაა. მაგრამ თარგმანის საკითხში მეტი აქტივობა სახელმწიფოს კი არა, იმ ქვეყნის წარმომადგენლობას მართებს, რომლის ენაზეც ან რომლის ენიდანაც უნდა ითარგმნოს ესა თუ ის ლიტერატურა - რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ადგილობრივ გამომცემლებთან თანამშრომლობით.

კვლევაში განხილულია საგამომცემლო პროდუქციის სარეკლამო სტრატეგიებიც. საგულისხმოა, რომ დღეს მომხმარებელი გაცილებით მეტ სიახლეს ელოება სარეკლამო სტრატეგიების თვალსაზრისით და ამიტომაც ამ ახალ მოთხოვნებს გამომცემლობები შესაბამისად უნდა შეხვდეს, ამა თუ იმ ინოვაციური მეთოდის დანერგვის ან მოსინჯვის გზით. ეს შეიძლება იყოს რამდენიმე წუთიანი/წამიანი ვიდეოს გადაღება, რაც მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული მეთოდია და საკმაოდ გახშირდა ბოლოხანს. ასევე, რაიმე აქციის/პერფორმანსის მოწყობა ახალი წიგნის რეკლამირებისთვის და ა.შ.

ბოლოს ისევ აღვნიშნავ, რომ მისასალმებელია მსგავსი კვლევის ჩატარება. ამგვარი კვლევების არარსებობის პირობებში, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. მაგრამ სასურველი იყო მასში ნაკლებად ყოფილიყო თარგმანის ისტორია წარმოდგენილი. ასევე, მთლიანად კვლევაში მეტი ანალიზი იქნებოდა სასურველი. მასში რამდენჯერმეა ნახსენებია სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნაც. ეს საკითხი იმდენად მრავლისმომცველი და რთულია, რომ ამას ცალკე კვლევის ჩატარება ჭირდება, რაშიც მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები უნდა ჩაერთონ.

# კომენტარი კვლევის „ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა“ შესახებ

ბარბარა ვატენდორფი<sup>1</sup>

ანა კოპალიანისა და სალომე ბენიძის კვლევა გვთავაზობს 1991-2012 წლებში საქართველოს წიგნის ბაზრისთვის უცხო ენებიდან ქართულზე თარგმანის როლისა და მთარგმნელების მდგომარეობის სიღრმისეულ მიმოხილვას.

აღსანიშნავია, რომ პატარა ტირაჟებისა და შეზღუდული მსყიდველობითი შესაძლებლობების მქონე ისეთი მცირე ბაზრისთვის, როგორც საქართველოშია, უცხო ენებიდან მაღალი ხარისხის თარგმანების უზრუნველყოფა ძალიან რთულია. პრობლემებისა და შეზღუდვების მიუხედავად, საქართველოს საგამომცემლო სექტორი ოთხმოცდაათიანი წლებიდან სერიოზულად განვითარდა და სამხრეთ კავკასიაში, პრფესიონალიზმისა და მრავალფეროვნების გამო, გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. ამასთან, კვლევა კარგად აანალიზებს საქართველოში უცხო ენებიდან ქართულზე მთარგმნელების და გამომცემლების არასაიმედო მდგომარეობას და ყურადღებას ამახვილებს საგამომცემლო კულტურასა და ხარისხზე.

ბავშვებისთვის და ახალგაზრდა მკითხველებისთვის გამიზნული წიგნების, ფანტასტიკური და მხატვრული ლიტერატურის, ისევე როგორც უცხო ენებიდან ნათარგმნი სამეცნიერო წიგნების გარეშე, შეუძლებელია კომპეტენტური და კრიტიკული საჯარო დებატების გამართვა. ამ მიმართულებით განვითარებისა და მომავალი თაობების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, საქართველოს საგამომცემლო სექტორი, მთარგმნელები და ქვეყნის ლიტერატურული ლანდშაფტი დახმარებას საჭიროებენ. ეს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, სხვა განვითარებად ქვეყნებსაც ეხება. გავითვალისწინოთ ისიც, რომ გერმანიის კარგად განვითარებული წიგნის ბაზარი (რომელსაც მრავალფეროვანი ლიტერატურული ასპარეზი გააჩნია) ეროვნული და ევროპული მწერლების, მთარგმნელების, ლიტერატურული დანებსებულებებისა და ბიბლიოთეკების განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო დახმარების პროგრამებით დღესაც სარგებლობს.

<sup>1</sup> ბარბარა ვატენდორფი არის თბილისში გოეთეს ინსტიტუტის საინფორმაციო ცენტრისა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, ქართულიდან და ქართულ ენაზე ლიტერატურული თარგმანის ხელშეწყობის მიზნით, საკუთარი პროგრამა დააფუძნა. წინამდებარე კვლევაში ამ პროგრამის ფუნქციონირებაზეც არის საუბარი, თუმცა - ზედაპირულად. პროგრამა მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობის ევროპული მოდელის მიხედვით შეიქმნა და საქართველოში ლიტერატურული თარგმანის ხელშეწყობის საქმეში დიდ როლს ასრულებს. ეს, უდავოდ, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. იმედია, ეს მიმართულება კიდევ უფრო გაძლიერდება და მას დამატება კომპონენტი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურის უცხო ენებიდან ქართულზე თარგმანს შეუწყობს ხელს, რაც მეტად მნიშვნელოვანია - განსაკუთრებით ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებისთვის.

საქართველოში გამომცემელთა და მთარგმნელთა ხელშეწყობაზე მიმართული მდგრადი და ეფექტური საჯარო პოლიტიკის ლობირების მიზნით, აუცილებელია ძლიერი პროფესიული ორგანიზაციების შექმნა. დასკვნით რეკომენდაციებში კვლევის ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ საჭიროა მთარგმნელთა ასოციაციის შექმნა. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, ასევე, საჭიროებს გარკვეულ განვითარებას, რათა საქართველოში საგამომცემლო ბიზნესის ინტერესები უკეთ დაიცვას.

საქართველოს მთარგმნელთა ასოციაციის შექმნის პროცესში, სასურველია ევროპული პრაქტიკის გათვალისწინება. 1997 წელს ჩამოყალიბებული გერმანიის მთარგმნელთა ფონდი (*Deutscher Übersetzerfondse.V.*) მთარგმნელთა მუშაობის ხელშეწყობის ბრწყინვალე მაგალითია, რადგან ორგანიზაცია მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და საზოგადოებრივ აღიარებაზე ზრუნავს. ამ, ძირითადად სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ფონდის მეშვეობით, ასოციაციაში განვერიანებულ მთარგმნელებს, თავიანთ კარიერის ნებისმიერი საფეხურზე, პროფესიული განვითარების შესაძლებლობა ეძლევათ (სემინარები, კონფერენციები, სამოგზაურო გრანტები, გამოცდილ მთარგმნელებთან პრაქტიკის გავლის პროგრამები, სტიპენდიები). სემინარებსა და კონფერენციებზე ავტორებს, კრიტიკოსებს და რედაქტორებსაც ინვევენ ხოლმე, რაც ხელს უწყობს ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ანა კოპალიანისა და სალომე ბენიძის რეკომენდაციებში მთარგმნელთა ახალი თაობის აღზრდის საქმეში უნივერსიტეტების როლიც არის აღნიშნული. ვფიქრობ, რომ გამოცდილი მთარგმნელების მიერ ჩატარებული ტრენინგები (აკადემიური სფეროს გარეთ)

უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ სფეროში ახალი სასწავლო პროგრამები. ქართულ ენაზე თარგმანთან დაკავშირებული დებატები და მთარგმნელთა გაცვლითი პროგრამები ძალიან სასარგებლო იქნება, რადგან დღეს ეს ადამიანები იზოლირებულად მუშაობენ და პროფესიული კავშირების ნაკლებობას განიცდიან.

